TRC GCSD

ტერორისტული ორგანიზაციების ხელშეწყობა, როგორც ირანის საგარეო პოლიტიკის ჰიბრიდული კომპონენტი

ტერორისტული ორგანიზაციების ხელშეწყობა, როგორც ირანის საგარეო პოლიტიკის ჰიბრიდული კომპონენტი

აღწერითი კვლევა

ავტორი : მარიამ ბალაძე

თბილისი

2022

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული **ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)** არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ან ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) პოზიციას. TRC - ს წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

TRC GCSD

სარჩევი

1. შესავალი.....6
2. ისტორიული მიმოხილვა.....7
2.1. ჰეზბოლა, როგორც ირანის ყველაზე წარმატებული მარიონეტული ძალა.....10
2.2. ბოსნიის ომი (1992-95), როგორც ჰიბრიდული ელემენტის გამოყენების პირველი ფაქტი..14
2.3. 2006 წლის ლიბანის ომი, როგორც ირან-ისრაელის მარიონეტული ომი.....19
2.4. ირანის ჩართულობა ასადის მხარეს სირიის სამოქალაქო ომში.....22
2.5. ირანის კავშირები ჰამასთან.....27
2.6. ირანის კავშირები პალესტინის ისლამურ ჯიჰადთან.....30
2.7. ირანთან აფილირებული ძალები ერაყში, იემენში, პაკისტანსა და ბაჰრეინში.....32
3. ირანის მიერ VNSA-ს გამოყენების პრაქტიკის ანალიზი.....35
4. ირანის მიერ VNSA-ს გამოყენების პრაქტიკის შეფასება.....39
5. დასკვნა 42
გამოყენებული ლიტერატურა:.....44

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე რეგიონულ არეულობებსა და ფართომასშტაბიან ომებში სახელმწიფო აქტორებთან ერთად უფრო და უფრო დიდი სიხშირით ჩნდებიან არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორები(VNSA), რომლებსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით რეგიონის პოლიტიკური ლანდშაფტის განსაზღვრაში. პოლიტიკურ ასპარეზზე ისინი განსაკუთრებული სიხშირით არაბული გაზაფხულის შემდეგ გამოჩნდნენ.

VNSA გამოყენების პრაქტიკა ყველაზე მკაფიოდ გხვდება ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ, რომელიც ჯერ კიდევ ისლამური რევოლუციიდან (1979) მოყოლებული თავს არიდებს კონფლიქტებში უშუალო მონაწილეობას და ცდილობს მარიონეტების მეშვეობით საკუთარი ინტერესებისა და გეოპოლიტიკური მიზნების სისრულეში მოყვანა შეძლოს.

კვლევაში განხილულია ირანის მიერ VNSA-ს, როგორც მისი პოლიტიკის ჰიბრიდული ელემენტის გამოყენების პრაქტიკები, რომელთა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითს მისი პირველი და ყველაზე წარმატებული მარიონეტული ძალა, ჰეზბოლა წარმოადგენს ლიბანში. ნაშრომი ასევე მიმოიხილავს ირანის მხარდაჭერით ჰეზბოლასა და შემდეგ უკვე სხვა proxy ძალების მონაწილეობას რეგიონის მნიშვნელოვან კონფლიქტებში, როგორიცაა ბოსნიის ომი (1992-95), როგორც ჰიბრიდული ომის გამოყენების პირველი ფაქტი, ასევე 2006 წლის ლიბანის ომი, იგივე ირან-ისრაელის მარიონეტული კონფლიქტი და აღნიშნული ძალების მონაწილეობა სირიის სამოქალაქო ომში (2011) ასადის რეჟიმის მხარდასაჭერად.

წინამდებარე ნაშრომში ასევე აღწერილია ირანის ურთიერთობა ღაზას სექტორში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფება ჰამასთან, პალესტინის ისლამურ ჯიჰადთან (PIJ), ერაყში, იემენში, პაკისტანსა და ბაჰრეინში მოქმედ შეიარაღებულ შიიტურ ძალებთან, რომელთაც ირანი ფინანსურ, სამხედრო, ლოგისტიკურ დახმარებებს აწვდის, რათა მათი გამოყენებით რეგიონში საკუთარი გავლენა გაზარდოს.

აბრევიატურები:

NSA- არასახელმწიფოებრივი აქტორი

VNSA- არასახელმწიფოებრივი ძალადობრივი/ აგრესიული აქტორი

PIJ - პალესტინის ისლამური ჯიჰადი

IRGC- ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსი

IRGC- QF- ირანის გუშაგთა კორპუსის ყუდსის ძალები

SCIRI- უმაღლესი საბჭოს ისლამური რევოლუცია ერაყში

SICI- ერაყის ისლამური უმაღლესი საბჭო

NDF - ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული განვითარების ფონდი

შესავალი

ახლო აღმოსავლეთის ისტორია სავსეა ძალადობრივი კონფლიქტებით, სახელმწიფოთაშორისი და სამოქალაქო ომებით, აჯანყებებით, რევოლუციებითა და გადატრიალებებით, უცხო ძალების შემოსევებით, ეთნიკური და სექტანტური შეტაკებებით. თანამედროვე უსაფრთხოების ლანდშაფტის უფრო დეტალური დათვალიერება ასახავს VNSA-ს გავრცელებას და ხაზს უსვამს ალიანსებისა და უსაფრთხოების სისტემაში მათი გამოყენების შესახებ ჩვენი გაგების გაფართოების აუცილებლობას, მეტი ანალიტიკური წონის მინიჭებით იმ ზემოქმედების ინტენსივობას, რომელსაც VNSA დღეს ახდენს. მათი გაბატონება ადასტურებს, რომ ტრადიციული ეროვნული სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზების ერთადერთ მოდელს არც ახლო აღმოსავლეთში და არც დანარჩენ მსოფლიოში. ფაქტობრივად, ათწლეულის არეულობის შემდეგ, სახელმწიფოები გახდნენ უფრო სუსტი და დაუცველი, შესაბამისად წარმოიქმნა ძალაუფლების ვაკუუმი. ამ ვაკუუმს იყენებს ან VNSA ან სახელმწიფოები, რომლებსაც სურთ გააფართოვონ თავიანთი გავლენა ან ეშინიათ, რომ მათი კონკურენტები ამას გააკეთებენ. ამის გაკეთების ყველაზე ეფექტური გზაა ალიანსების შექმნა ადგილობრივ მარიონეტებთან სხვა რეგიონალური მეტოქეების მარიონეტების საპასუხოდ. ეს დინამიკა ძალიან ართულებს ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე კონფლიქტების დეესკალაციას. [1]

არასახელმწიფო აქტორების მკვეთრად გამოხატული მხარდაჭერა იქცა ირანის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ ელემენტად 1979 წლის შემდეგ. ირანის ლიდერებმა ეს მიდგომა აუცილებლად მიიჩნიეს გრძელვადიანი წარმატებისა და უსაფრთხოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ირანის საზღვარგარეთული აქტივობების მასშტაბები შემცირდა 1980-იან წლებში და 1990-იან წლებში, როდესაც ქვეყანა ყურადღებას ამახვილებდა ომისგან განადგურებული ეკონომიკის აღდგენაზე, ქვეყანამ შემდეგ უკვე აქტიურად გააგრძელა მოკავშირე ჯგუფების მხარდაჭერა საზღვრებს გარეთ და შესაძლებლობების ძიება თავისი კლიენტების ბაზების გასაფართოებლად. დროთა განმავლობაში, ეს ურთიერთობები იქცა ირანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინვესტიციებად. ირანმა ამგვარად შეძლო მნიშვნელოვანი როლის შესრულება ახლო აღმოსავლეთის ისეთ

[1] Valensi, C. (2021). Alliances with Violent Non-State Actors in Middle East Conflicts: Between Theory and Practice. Strategic Sectors | Security & Politics, 239-242.

მნიშვნელოვან კონფლიქტებსა და პოლიტიკურ საკითხებში, როგორიცაა ლიბანის ისრაელის ოკუპაცია, ფართო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, აშშ-ს მიერ ერაყის ოკუპაცია და ომი სირიაში. [2]

ისტორიული მიმოხილვა

ხომეინის მიერ შექმნილი ირანის ისლამური რესპუბლიკა მიზნად ისახავდა მძაფრი რეაქციას გამოწვევას ახლო აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში. ისლამისტური რევოლუციის ექსპორტის სახელით ირანმა გამოიყენა სხვადასხვა შიიტური ძალები, რათა შეექმნა შიიტური ნახევარმთვარის სახელით ცნობილი გავლენის სფერო. ეს რევოლუციონერი სამხედროები აქტიურად ჩაერთნენ ტერორიზმსა და სხვა ძალადობრივ ფორმებში მეზობელი სახელმწიფოების დესტაბილიზაციისა და ხომეინის ისლამიზმის მტრებად აღქმული ძალების წინააღმდეგ მოქმედებისათვის. როგორც სხვა რევოლუციური რეჟიმების შემთხვევაში, რევოლუციური ექსპორტის მაღალი რიტორიკა დაფუძნებული იყო რეჟიმის გადარჩენისა და ირანის, როგორც ეროვნული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებზე. [3]

ხომეინი თვლიდა, რომ მარიონეტული ძალების მიერ ადგილობრივ მოსახლეობაში შეღწევისა და დამალვის პრაქტიკები, შესაბამისად, მათი ცხოველურ ფარად გამოყენება, რაც განსაკუთრებით პოპულარული იყო სამხრეთ ლიბანსა და ღაზას სექტორში, მშვიდობიანი მუსლიმების მოვალეობას წარმოადგენდა სიკვდილის რისკის შემთხვევაშიც კი. 1984 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ირანი ტერორიზმის წამყვან სპონსორ სახელმწიფოდ დაასახელა. 1997 წელს ამ სიას ჰეზბოლა დაემატა. ირანი ტერორისტული ქსელის ე.წ. „წინააღმდეგობის ღერძის“ გამოყენების პოლიტიკას უყურებდ „ან ჩვენ ვართ უსაფრთხოდ, ან არავინ არ არის“ იდეის პრიზმიდან. [4]

ბევრი ანალიტიკოსის აზრით, ირანმა VNSA-ს გამოყენება ხომეინის ხელისუფლებაში მოსვლიდან შემდეგ მალევე დაიწყო. ხომეინი სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნების

[2] Ostovar, A. (2016). SECTARIAN DILEMMAS IN IRANIAN FOREIGN POLICY: WHEN STRATEGY AND IDENTITY POLITICS COLLIDE. CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE, 1-40.
[3] Iran, Revolution and Proxy Wars. Ofira Seliktar and Farhad Rezaei. Palgrave Macmillan Cham. 2020. https://doi.org/10.1007/978-3-030-29418-2
[4] Iran, Revolution and Proxy Wars. Ofira Seliktar and Farhad Rezaei. Palgrave Macmillan Cham. 2020. https://doi.org/10.1007/978-3-030-29418-2 P. 16

მნიშვნელობაზე საუბრისას, შიიზმისა და ირანის გავლენის გაფართოებასთან ერთად აღწერდა VNSA-თან ურთიერთობას, როგორც ერთგვარ ქსელს, რომელიც ემყარებოდა მის პირად ურთიერთობას სხვა შიიტ ლიდერებთან ირანის კონკურენტების, კერძოდ აშშ-ს, ერაყისა და ისრაელის დასასუსტებლად ეს თავდაპირველი რეგიონალური ქსელი კი საბოლოოდ მნიშვნელოვნად გაფართოვდა გლობალური შესაძლებლობების გამოსაყენებლად.[5]

ძალადობრივ მეთოდებთან ერთად, ირანი აქტიურად იყენებდა საგარეო პოლიტიკის რბილ მეთოდებსაც ("soft measures"),რაც გულისხმობს პოლიტიკურ აქტივიზმს, პროპაგანდას, განათლების ხელმისაწვდომობასა და ხომეინიზმის შესახებ ცოდნის ამაღლებას. ირანის წახალისებით რიგ შემთხვევებში მარიონეტული ჯგუფების პოლიტიკურ პარტიებად გადაქცევით ამ ორმაგი დანიშნულების მარიონეტებმა მოიპოვეს პოლიტიკური ლეგიტიმაცია ტერორის დაფარვის შეთავაზებით. მთლიანობაში, ტაქტიკის კომბინაცია შეესაბამება კიდეც მეოთხე თაობის ომის მახასიათებლებს (4GW), რომელიც აღწერილია, როგორც კონფლიქტი, სადაც ბუნდოვანია საზღვრები პოლიტიკასა და ომს, სამოქალაქო პირებსა და მებრძოლებს შორის. [6]

ირანის მხარდაჭერა მისი თითოეული ტერორისტული ერთეულისადმი განსხვავებული და უნიკალურია. თითოეული ჯგუფი ზრუნავს ირანის ინტერესებზე თავიანთი მოქმედების არეალში და ასევე იმ მიზნებზე, რომლებსაც ისინი ემსახურებიან ირანის დღის წესრიგის წინსვლისათვის. ჰეზბოლა წარმოადგენს აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ ერთეულს ლიბანში და მცირე წარმომადგენლობით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, სწორედ ჰეზბოლა უზრუნველყოფს დახმარებას სხვა მარიონეტული ჯგუფების მომზადებაში. რომლებიც დაეხმარა ირანს შიიტური არაბული-სპარსული განხეთქილების დაძლევაში. ჰეზბოლა ასევე დაეხმარა ირანს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მხარდაჭერაში სირიის სამოქალაქო ომში, სადაც ის მუშაობდა სხვა მებრძოლების გადაბირებაზე რეჟიმის დასაცავად. [7] ჰამასი საკმაოდ აქტიური პოლიტიკური/სამხედრო ორგანიზაციაა პალესტინის ტერიტორიებზე, რომელიც ახორციელებს ხშირ თავდასხმებს ისრაელის წინააღმდეგ. დაჯგუფება ასევე უზრუნველყოფს ირანის პოლიტიკური დღის წესრიგის პოპულარიზაციას

[5] Oktav, Ö. Z. (2017). Understanding Iran's Approach to Violent Non-state Actors: The ISIS and YPG Cases. Violent Non-State Actors and the Syrian Civil War, 193–210. doi:10.1007/978-3-319-67528-2_10
[6] Iran, Revolution and Proxy Wars. Ofira Seliktar and Farhad Rezaei. Palgrave Macmillan Cham. 2020. https://doi.org/10.1007/978-3-030-29418-2 P. 16
[7] Merrow, K. R. (2021, March 01). Iran's Regional Armed Network. Council on Foreign Relations: https://www.cfr.org/article/irans-regional-armed-network Accessed 20 July, 2022

პალესტინის ტერიტორიებზე. სირიაში დაფუძნებული პალესტინის ისლამური ჯიჰადი (PIJ) ჰამასს მრავალი თვალსაზრისით ჰგავს და მჭიდროდ თანამშრომლობს მასთან ისრაელის წინააღმდეგ თავდასხმების განხორციელებისას. [8] ასევე მხარს უჭერს ჰუთებს იემენში, კატაიბ ჰეზბოლასა და ბადრის ორგანიზაციას ერაყში, ალ-აშთარის ბრიგადებს ბაჰ-რეინში, ზაინაბიუნის ბრიგადას პაკისტანში. [9]მიუხედავად დაჯგუფებებს შორის არსებული განსხვავებებისა, ყველა მათგანს მთავარი მიზანი აერთიანებს და ყველა მათგანი რევოლუციური არმიის გუშაგთა კორპუსისგან იღებენ ფინანსურ, სამხედრო და სხვა სახის დახმარებებს და მოქმედებენ, როგორც ირანის ყუდსის ძალების სხვადასხვა გაფართოება.[10] ყუდსის ძალები (IRGC-QF) უზრუნველყოფს მათი მეურვეების დაფინანსებას, მხარდაჭერასა და სტრატეგიულ და ტაქტიკურ დაგეგმვას. სწორედ ირანის რევოლუციური არმიის გუშაგთა კორპუსისა და დაზვერვისა და უსაფრთხოების სამინისტროს (MOIS) მეშვეობით, ირანი ახორციელებს მხარდაჭერას ტერორისტული შეთქმულებებისათვის, თავდასხმებისა და მკვლელობებისადმი.[11]

ირანის მიერ თავისი მარიონეტების სამხედრო და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფამ, მფარველობამ და პოლიტიკურმა მხარდაჭერამ, მათ შორის რელიგიური ფონდების, ე.წ. ბონიადების მეშვეობით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ორგანიზაციების პოპულარობის ამაღლებასა და რეპუტაციის ზრდაში. ბონიადები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ ყუდსის ძალების, ჰეზბოლას, ჰამასის და სხვა ჯგუფებისათვის, რაც დასტურდება მაგალითად ირანის შესამჩნევი ჩართულობით ერაყში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ კამპანიაში და ჰუსიტების მხარდაჭერაში იემენში.[12]

---

[8] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 1-12.
[9] Khan, A., & Zhaoying, H. (2020). Iran-Hezbollah Alliance Reconsidered: What Contributes to the Survival of State-Proxy Alliance? Journal of Asian Security and International Affairs, 7(1), 101–123. https://doi.org/10.1177/2347797020906654
[10] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 1-12.
[11] POMPEO, M. R. (2020). OUTLAW REGIME: A CHRONICLE OF IRAN'S DESTRUCTIVE ACTIVITIES.
[12] Tom Najem, Lebanon: The Politics of a Penetrated Society, (Abingdon, Oxon: Routledge, 2012), 109, 14; Maloney, "Agents or Obstacles?," 159; Amal Saad-Ghorayeb, "Hezbollah's Iran Money Trail: It's Complicated," http://english.al-akhbar.com/node/10553

ჰეზბოლა, როგორც ირანის ყველაზე წარმატებული მარიონეტული ძალა

მრავალი თვალსაზრისით, ლიბანი იყო იდეალური ქვეყანა მარიონეტის მიერ ახალი რევოლუციური ექსპორტის ფორმულის შესამოწმებლად. 1970-იანი წლების დასაწყისისთვის კონფესიური პოლიტიკური სისტემა ლიბანში, სადაც დომინირებდნენ მარონიტები, სუნიტები და შიიტები, დაიშალა. კორუფციაში ჩაფლული ლიბანი, რომელიც მალე სამოქალაქო ომში ჩაება, ე.წ. წარუმატებელი სახელმწიფოს ადრეულ მაგალითს წარმოადგენდა.[13]

სწორედ ლიბანში დატოვა ირანმა თავისი მარიონეტული ომის თანამედროვე კვალი. ლიბანელი შიიტები, რომლებიც ლიბანის სამი ძირითადი თემიდან ყველაზე ღარიბ ფენას წარმოადგენდნენ, პოლიტიკური გამოღვიძების პერიოდში იყვნენ. ერაყელი სასულიერო პირი მუსა ალ-სადრი ლიბანში ათი წლით ადრე ჩავიდა, როგორც ერაყის ახალი ბატისტური რეჟიმიდან და სასულიერო პირების მიმართ დარბევის პრაქტიკებიდან შიიტების გამოსვლის ნაწილი. სადრმა შექმნა ახალი პოლიტიკური სტანდარტი შიიტებისთვის, სახელწოდებით ჰარაკატ ალ-მაჰრუმინი, რომელიც გახდა ამალის მილიცია ლიბანის სამოქალაქო ომის დაწყებისას. შიიტების შეიარაღებულ პოლიტიკურ ძალად გადაქცევის შემდეგ სადრი გაუჩინარდა 1978 წელს ლიბიაში მოგზაურობისას. მისი არყოფნით შექმნილი პოლიტიკური და იდეოლოგიური ვაკუუმი კი შეივსო უფრო გამორჩეულად რელიგიური და რევოლუციონერი ხომეინის შიიტური დაჯგუფებით. სწორედ ასეთი იყო. 1982 წლის ივლისში, ლიბანში ისრაელის შემოჭრის შემდეგ, ხომეინის მკვეთრად ანტისადასავლურმა და ანტიისრაელურმა იდეებმა მოიზიდა ამალის დისიდენტები, რომელთაც დახმარებით IRGC-ს მიმართეს. IRGC-ის რამდენიმე ასეული ჯარისკაცი სათანადოდ გაიგზავნა ლიბანში ახალწვეულების მოსამზადებლად. შედეგად, 1982 წლის ბოლოს, IRGC-ს წევრებმა ამალისა და პალესტინური ჯგუფების დისიდენტების ორგანიზება მოახერხეს და მათი ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ლიბანური ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც შემდეგ ჰეზბოლად იწოდებოდა. დაარსებიდან დღემდე ჰეზბოლამ ირანის დახმარებით მოახერხა კონტროლის დამყარება ჯერ სამხრეთ ლიბანზე, შემდეგ კი

[13] Jonathan V. Marshal, "The Lebanese Connection: Corruption, Civil War, and the International Drug Traffic".International Journal of Middle East Studies, 2014

მთლიანად სახელმწიფოზე, ასევე ირანის ერთგული ასადის რეჟიმის დახმარება და გადარჩენა სირიის სამოქალაქო ომის დროს. მთელი ამ ათწლეულების განმავლობაში, გარე ძალები, როგორიცაა დასავლეთ ევროპა, აშშ და ისრაელი დიდ სირთულეებს აწყდებოდნენ ირანის ქმედებების დაბალანსების საკითხში. [14]

ირანისთვის ჰეზბოლა ღირებული ძალა იყო როგორც მისი იდეოლოგიური, ასევე გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მან შეავსო ირანის იდეოლოგიურ სტრუქტურაში არსებული რელიგიური ხაზი იერუსალიმის დაბრუნებისა და რევოლუციის ექსპორტის დაპირებით. ასევე ჰქონდა ღიად გამოხატული წინააღმდეგობა საკუთარი კონკურენტების, მათ შორის ისრაელის, აშშ-სა და აშშ-ს მოკავშირე არაბული ქვეყნების მიმართ. ძლიერი მარიონეტული ძალის მეშვეობით ირანს მიეცა ლიბანზე კონტროლის დამყარების საშუალება იმ დროს, როდესაც ჰეზბოლა მთავრობაში იყო და მაშინაც, როდესაც ის შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა. ხოლო ირანის ხელმძღვანელობის ხისტ ელემენტებს, განსაკუთრებით რევოლუციურ გვარდიას ლიბანმა მისცა შესაძლებლობა განევითარებინათ საკუთარი ძალაუფლების ბაზა და მოახდინა ქვეყნის შიგნით რევოლუციური ფრაქციების მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციის რეალური დემონსტრირება.[15]

ჰეზბოლამ გამოიყენა თავდასხმები დასავლეთისა და ისრაელის ობიექტებზე ქვეყნის შიგნით ძალაუფლების კონსოლიდაციისა და ირანული მხარდაჭერის მიმართ წინააღმდეგობის შესამცირებლად. ამრიგად, დასავლური სამიზნეების გატაცება და დაბომბვა შეესაბამება როგორც ჰეზბოლას, ისე ირანის სტრატეგიულ და პოლიტიკურ მიზნებს.

ჰეზბოლა თავს დაესხა ისრაელის ძალებს და სამოქალაქო მოსახლეობას ისრაელში და მის ფარგლებს გარეთ.1982 წელს ჰეზბოლას წევრი მართავდა ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე მანქანას ისრაელის დაზვერვის შტაბში და მოკლა 75 თანამდებობის პირი, მათ შორის ჯარისკაცები და არაბი პატიმრები. 1990-იან წლებში ჰეზბოლა თავს დაესხა ისრაელის საელჩოს არგენტინაში, სადაც ათობით ადამიანი ცხოვრობდა, ძირითადად ებრაელები. [16] ჰეზბოლას ყველაზე თვალსაჩინო ადრეული ოპერაციები იყო 1983 წლის

[14] Peek, A. L. (2021). ON THE EFFECTIVE USE OF PROXY WARFARE. Baltimore, Maryland. P.187
[15] Ibid.
[16] Roberts, Mark. "Hezbollah: The Global Footprint of Lebanon's Party of God. By Matthew Levitt, Ph.D. Washington, D.C.: Georgetown University Press, 2013. ISBN 978-1-62616-013-2. Bibliography. Sources cited. Index. Pp. xv, 407. $32.95.." Journal of Strategic Security 6, no. 4 (2013) : 109-111.

აპრილში აშშ-ს საელჩოსა და 1983 წლის ოქტომბერში აშშ-ს საზღვაო ქვეითთა ყაზარმების დაბომბვა ბეირუთში, რის შედეგადაც დაიღუპა 241 საზღვაო ქვეითი და 58 ფრანგი მედესანტე.[17] 1980-იან და 1990-იან წლებში ჰეზბოლას წევრებმა თავდასხმები განახორციელეს ლიბანში და მის ფარგლებს გარეთ, რომელსაც ასობით მშვიდობიანი მოქალაქე და სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა. სამხრეთ ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შემდეგ ჰეზბოლა განსაკუთრებით გააქტიურდა. მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეული ხნით შეაჩერა თავდასხმები თავად ისრაელის წინააღმდეგ, მტრობა ისრაელისა და თავდასხმები ისრაელის მშვიდობიან მოსახლეობასა და ჯარისკაცებზე უცხო ქვეყნებში კვლავ გააგრძელა. მაგალითად, 2000-იან წლებში და 2010-იანი წლების დასაწყისში ჰეზბოლას მებრძოლების სამიზნეს წარმოადგენდნენ ისრაელის მშვიდობიანი მოქალაქეები რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის თურქეთში, აზერბაიჯანში, საბერძნეთში, იორდანიაში, ეგვიპტეში, ევროპის ქვეყნებში. [18]

ამ ოპერაციებს აქტიურად უჭერდა მხარს ირანი, რომელიც ჯგუფს უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ეროვნულ ინტერესად თვლიდა. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ირანი მონაწილეობა ირანის ელჩის ლიბანში, 1983 წლის აპრილში თვითმკვლელ ტერორისტთან შეხვედრა და მისთვის საჭირო ასაფეთქებელი ნივთიერებების მიწოდების ფაქტი აშშ-ს საელჩოში თავდასხმის წინ. ირანელმა ოფიციალურმა პირებმა დიპლომატიური პასპორტები გადასცეს რამდენიმე გამტაცებელ ოპერატორს და ერთი მძევალი წაიყვანეს ირანში. ირანი ასევე წვრთნიდა ჰეზბოლას მებრძოლებს ლიბანში, საკუთარი ძალებით, ძირითადად IRGC-დან, ბექაას ხეობის საწვრთნელ ბანაკებში. 1984 წლისათვის, ამერიკის სადაზვერვო ძალების განცხადებით, 800-მდე რევოლუციური ძალების წარმომადგენელი იმყოფებოდა ლიბანში. აგვისტოს ომის პერიოდისთვის, ჰეზბოლა ირანის დახმარებით ფლობდა დაახლოებით 10000 რაკეტას, რაც ისეთ სახელმწიფოებსაც კი, როგორიცაა რუსეთი და პაკისტანი, არასდროს მიუწოდებიათ თავიანთი მარიონეტებისათვის. [19]

ჰეზბოლას ლიდერები არა მხოლოდ რეგულარულ კონსულტაციებს გადიან ირანის გუშაგთა კორპუსთან, არამედ იღებენ უზარმაზარ მხარდაჭერას ირანისგან. ირანი უზრუნველყოფს „პირდაპირ სამხედრო მხარდაჭერას, წვრთნას, ფინანსურ მხარდაჭერას, ორგანიზაციულ დახმარებასა და დახმარების მრავალ სხვა ფორმას. ფინანსური მხარდაჭერა, რომელსაც

[17] Peek, A. L. (2021). ON THE EFFECTIVE USE OF PROXY WARFARE. Baltimore, Maryland.
[18] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 1-12.
[19] Peek, A. L. (2021). ON THE EFFECTIVE USE OF PROXY WARFARE. Baltimore, Maryland.

ჰეზბოლა იღებს, განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფი იღებს ირანიდან წელიწადში დაახლოებით 100 მილიონ დოლარს. ირანის მიერ მიწოდებული იარაღის უმეტესობა კონტრაბანდულად შემოდის ლიბანში დამასკოს საერთაშორისო აეროპორტის გავლით, საიდანაც ისინი სახმელეთო გზით შემოდიან.[20] მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნა ამ ფულის ნაწილის ჰეზბოლას მიერ დაფინანსებულ მრავალ სოციალურ პროგრამაში გადარიცხვის საკითხი, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჰეზბოლა კვლავ ეწევა არაერთ არალეგალურ საქმიანობას, როგორიცაა იარაღის კონტრაბანდა, სარაკეტო თავდასხმები ისრაელზე[21], ასევე ნარკოტიკებით ვაჭრობა .[22] ჰეზბოლა იდგა არაერთი ტერორისტული შემთხვევის უკან საზღვარგარეთ, მაგალითად, ისრაელებზე თავდასხმები საქართველოში, ინდოეთში, ტაილანდსა და აზერბაიჯანში. [23]

ნებისმიერი VNSA-ს გრძელვადიანი არსებობა ყოველთვის პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა. ზოგიერთი შეიარაღებული ჯგუფი მალევე ქრება პოლიტიკური მიზნების მიღწევის გარეშე ან დროთა განმავლობაში იმდენად სუსტდება, რომ ვერ ახერხებს დღის წესრიგის სისრულეში მოყვანას. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ასეთი ჯგუფები ვერ ამყარებენ სანდო ურთიერთობა თავიანთ სპონსორ სახელმწიფოსთან და სპონსორი სახელმწიფოები ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას. [24] ჰეზბოლამ და ირანმა შეძლეს თავიანთი ალიანსის შენარჩუნება, რადგან ირანმა, როგორც სპონსორმა სახელმწიფომ, უზრუნველყო ჰეზბოლას ავტონომიის შენარჩუნება თავის აქტივობებსა და ქმედებებზე და ჰეზბოლას მიერ მიწოდებულ რესურსებზე წვდომის გარანტია. ირანმა ასევე უზრუნველყო, რომ ჰეზბოლას სტრატეგია და სამიზნეები (ანტიისრაელის რიტორიკა და პროპაგანდა, რეგიონული ჰეგემონიის ძიება, სხვა რეგიონული არასახელმწიფო აქტორებისა და მეტოქე სახელმწიფოებისგან მომდინარე საფრთხეების განეიტრალება) საკუთარ ინტერესებსა და მიზნებს. მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთო ეთნიკური

---

[20] Roberts, Mark. "Hezbollah: The Global Footprint of Lebanon's Party of God. By Matthew Levitt, Ph.D. Washington, D.C.: Georgetown University Press, 2013. ISBN 978-1-62616-013-2.

[21] Human Rights Watch. "Lebanon: Hezbollah Rocket Attacks on Haifa Designed to Kill Civilians." Human Rights Watch. July 18, 2006. http://www.hrw.org/news/2006/07/17/lebanon-hezbollah-rocket-attacks-haifa-designedkill-civilians

[22] Becker, Jo. "Beirut Bank Seen as a Hub of Hezbollah's Financing." New York Times. December 13, 2011. http://www.nytimes.com/2011/12/14/world/middleeast/beirut-bank-seen-as-ahub-of-hezbollahs-financing.html?_r=1&pagewanted=all

[23] Keinon, Herb. "'Iran, Hezbollah seeking to harm Israelis globally'." The Jerusalem Post. February 14, 2012. http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=257737

[24] Khan, A., & Zhaoying, H. (2020). Iran-Hezbollah Alliance Reconsidered: What Contributes to the Survival of State-Proxy Alliance? Journal of Asian Security and International Affairs, 7(1), 101–123. https://doi.org/10.1177/2347797020906654

რელიგიური იდენტობა.[25] ასეთ შემთხვევებში ალიანსი ხდება უფრო მეტი ხდება ერთიანი, თუ მოკავშირე მარიონეტული ჯგუფი საკუთარ საზოგადოებაში ეთნორელიგიურად მარგინალიზებულია. ირან-ჰეზბოლას ურთიერთობისას ჰეზბოლამ ირანის მხარდაჭერით მოახერხა მარგინალიზებული და გაღატაკებული შიიტური თემის და მათი მისწრაფებების გაერთიანება. [26] ამრიგად, კავშირის ძლიერი სოციალური საფუძველის შედეგად მათ შორის განვითარდა თანამშრომლობა, რომელმაც თავის მხრივ, თანდათან უფრო და უფრო გააძლიერა ალიანსი. ირანისა და ჰეზბოლას შორის მჭიდრო ურთიერთობის გარდა, ირანი საკმაოდ სტრატეგიულად მიიჩნევს ჰეზბოლას გეოგრაფიულ პოზიციონირებას, რადგან ჯგუფს აქვს ძლიერი წარმომადგენლობა ლევანტის მთელ ტერიტორიაზე და ასევე სამხრეთ ამერიკაში .[27]

ბოსნიის ომი (1992-95), როგორც ჰიბრიდული ომის გამოყენების პირველი ფაქტი

ირანისთვის ბალკანეთი ყოველთვის დიდი ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა, ვინაიდან ირანი რეგიონს აღიქვამს, როგორც შესაფერის „მშვიდ“ ლოგისტიკურ პლატფორმას, გლობალური დაზვერვისა და უსაფრთხოების სააგენტოების თვალთახედვის მიღმა, შედარებით სუსტი უსაფრთხოებით, სუსტი ინსტიტუტებით და გავრცელებული კორუფციით. ბალკანეთის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონი ირანს სთავაზობს მოხერხებულ დასაყრდენს ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში.

ნათელია, რომ თეირანი ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩუმად, თუმცა სტაბილურად ავითარებს თავის "უხილავ" ყოფნას(stealth presence) რეგიონში. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ თავისი ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ორიენტაცია ბოსნია და ჰერცეგოვინის სახელმწიფოზე გაამახვილა. მთავარი მიზეზი, რის გამოც ირანმა ამ ქვეყანაში იპოვა ადგილი, იყო მლადი მუსლიმანის (ახალგაზრდა მუსულმანები) ჯგუფის ისლამისტური ორიენტაცია, განსაკუთრებით ამ ჯგუფის ბოლო წარმომადგენლები, როგორიცაა ალია იზეტბეგოვიჩი. ბალკანეთის სხვა

[25] : James A. Piazza (2018): Transnational Ethnic Diasporas and the Survival of Terrorist Organizations, Security Studies,
[26] Haddad, S. (2006). The origins of popular support for Lebanon's Hezbollah. Studies in Conflict & Terrorism, 29(1), 21–34.
[27] Voice of America. "US Military Commander Warns of Iran-Hezbollah Influence in Latin America." Voice of America. March 17, 2009. https://www.voanews.com/a/a-13-2009-03-17-voa44-68678507/408729.html

სახელმწიფოების ლიდერებისგან განსხვავებით, 90-იანი წლების ბოსნიელმა ლიდერმა, (1992-1996) ალია იზეტბეგოვიჩმა ძალიან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ირანის ისლამური რეჟიმის ლიდერებთან, ძირითადად მისი ისლამისტური რწმენისა და იმედგაცრუების გამო, რომელსაც დასავლური სახელმწიფოების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობის გამო განიცდიდა.

ირანი იყო ერთ-ერთი პირველი ისლამური ქვეყანა, რომელმაც მხარი დაუჭირა იზეტბეგოვიჩის მმართველობას ბოსნიაში, განსაკუთრებით ომის პერიოდში, მიუხედავად გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ბოსნიაში მეომარი ქვეყნების წინააღმდეგ იარაღის ემბარგოს დაწესებისა. ირანის გავლენის პოტენციალი პირველად იზეთბეგოვიჩის თეირანში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ, 1991 წლის მაისში, საომარი მოქმედებების დაწყებამდე თითქმის ერთი წლით ადრე გაიზარდა, სადაც მან გამოთქვა ირანთან ყველა სფეროში თანამშრომლობის გაფართოების სურვილი. ამ მჭიდრო ურთიერთობამ გამოიწვია ირანის დიდი სამხედრო წარმომადგენლობა ბოსნიაში ომის დროს. [28]მასთან პოზიტიური კავშირების გაჩენით ირანმა მალევე ისარგებლა და წამოიწყო კამპანია ევროპაში ბალკანეთის გავლით. მუჯაჰედების სახელით ცნობილი მოხალისე მუსლიმთა რაზმები იგზავნებოდა პაკისტანიდან, ავღანეთიდან, მაროკოდან, სუდანიდან, ლიბანიდან, ალჟირიდან, თურქეთიდან, საუდის არაბეთიდან და ირანიდან. მათ შორის ასევე იყვნენ ჰეზბოლას პარტიზანები.[29] გარდა იმისა, რომ ჰეზბოლას ყოფნა ბოსნიაში იყო პირველი პირდაპირი ინტერვენცია ლიბანის ტერიტორიის გარეთ მუსლიმების დასაცავად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამხედრო წვრთნები, რომელთაც აქტიურად უჭერდნენ მხარს ირანის რევოლუციონერების ქვედანაყოფები. ეს ხაზს უსვამდა ირანის მუდმივ სტრატეგიულ მიზანს, რაც საკუთარი გავლენისა და რევოლუციური ისლამის მნიშვნელობის ევროპულ ასპარეზზე ზრდას გულისხმობდა. [30]

ბოსნიის ომის დროს ბოსნიის მთავრობა ფაქტიურად ევედრებოდა მუსლიმანურ სახელმწიფოებს დახმარებას. დიპლომატიური მხარდაჭერა ძირითადად ბოსნია და ჰერცეგოვინას დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარების სახით გამოიხატა.

---

[28] Dr. Arlinda Rrustemi, P. R. (n.d.). Geopolitical Influences of External Powers in the Western Balkans. FBIC

[29] Ranstorp, M., & Xhudo, G. (1994). A threat to Europe? Middle east ties with the Balkans and their impact upon terrorist activity throughout the region. Terrorism and Political Violence, 6(2), 196–223. doi:10.1080/09546559408427254

[30] Ranstorp, M., & Xhudo, G. (1994). A threat to Europe? Middle east ties with the Balkans and their impact upon terrorist activity throughout the region. Terrorism and Political Violence, 6(2), 196–223. doi:10.1080/09546559408427254

სახელმწიფოს მართვისა და მოსახლეობის გამოკვებისათვის საჭირო რესურსებით ქვეყანას სპარსეთის ყურის მდიდარი ქვეყნები უზრუნველყოფდნენ, ძირითადად საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები და კატარი. თუმცა, საბოლოოდ როცა ბოსნიელებმა სამხედრო დახმარება მოითხოვეს, ამ თხოვნას ირანმა დიდი ენთუზიაზმით უპასუხა. ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსმა გაგზავნა ტონობით იარაღი, ასევე სამხედრო ინსტრუქტორები და დაზვერვის ოფიცრები ბოსნიაში. ირანული იარაღი და IRGC-ის ინსტრუქტორების როლი კონფლიქტის საწყის ეტაპზე ბოსნიელი მებრძოლების მომზადებაში გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა. ირანმა ასევე გაგზავნა მაშველები სამხედრო ინსტრუქტორებთან ერთად, რომლებიც ძირითადად ვისოკოში, ზენიცასა და სარაევოში იმყოფებოდნენ.[31] მიუხედავად რიგი წინააღმდეგობებისა, რაც ირანული ძალების ბალკანეთის რეგიონისადმი ცოდნის ნაკლებობაში, საკომუნიკაცო ენის არცოდნაში, ყუდსის ძალების კონკრეტულ პერიოდში სამხედრო შეკრულობის არარსებობისა, რამაც შიდა უთანხმოება წარმოშვა ირანულს ძალებსა და ომის ზონაში სარდლობას შორის, ირანის დახმარება ბოსნიისადმი საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა.[32]

ირანმა ირანის წითელი ნახევარმთვარის წევრების სახით გაგზავნა IRGC-ის ათასობით მებრძოლი. 1994 წლის 2 ივნისს Washington Times-მა დაწერა, რომ დაზვერვის მონაცემებით, 1994 წლის მაისში IRGC-ის 400 მებრძოლი შევიდა ბოსნიაში. იმ დროს, ზოგიერთი დაზვერვის წყარო იტყობინებოდა, რომ ბოსნიაში ბაზირებული იყო 3000-4000 IRGC-ის მებრძოლი, გარდა 400 ლიბანური ჰეზბოლას მებრძოლისა. ირანმა დააარსა თავისი ბანაკები ზენიცასა და ვისოკოში სარაევოს ალყის დროს. ირანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ბალკანეთის ომში დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფით ბოსნიელი ისლამური ჯგუფებისთვის, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბოსნიის პრეზიდენტთან და ბოსნიის არმიასთან. 1998 წლის 9 ოქტომბერს აშშ-ს სენატის დაზვერვის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოხსენება "ირანული იარაღის გამოძიება ბოსნიაში", სადაც ნათქვამია, რომ ირანი იყო ბოსნიის შეიარაღებული ძალების მთავარი მხარდამჭერი. ანგარიშის მიხედვით, ბოსნიის არმიისა და მილიციის ტექნიკის 30% ირანმა უზრუნველყო.[33]საერთაშორისო გამოკვლევები, ისევე როგორც აშშ-ს კონგრესის

[31] K, H. (2020, November 14). Iran's Overseas Propaganda: A Poor Harvest in Bosnia and Herzegovina. Retrieved from IRANWIRE: https://iranwire.com/en/features/68007 Accessed 26 July, 2022
[32] Montazeri, Z. G. (2019, June 05). The secret history of the Quds Force of the IRGC in the Bosnian War. BBC NEWS: https://www.bbc.com/persian/iran-features-48511526 Accessed 28 July, 2022
[33] Khatab, M. (2019, August 02). Iran's Influence in Bosnia, a Dagger in the Flank of Europe. MENA RESEARCH CENTER: https://mena-studies.org/irans-influence-in-bosnia-a-dagger-in-the-flank-of-europe/ Accessed 28 July, 2022

სპეციალური მოხსენება ადასტურებს, რომ ბოსნიის ომის სამნახევარი წლის განმავლობაში ირანი ბოსნიის არმიისთვის სამხედრო დახმარების ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი იყო. [34]

1995 წელს დეიტონის შეთანხმებამ დაასრულა ირანის ყოფნა ბოსნიაში, რადგან შეთანხმება ცალსახად ხაზს უსვამდა ბოსნია და ჰერცეგოვინიდან ყველა უცხოელი სამხედრო პერსონალის ევაკუაციას. ამერიკელებმა და ევროპამ სრულად იცოდნენ ირანის საფრთხე, რომელმაც დაიწყო გაფართოება, შექმნა ახალი გეოპოლიტიკური ვითარება, უბიძგა ექსტრემისტულ ორგანიზაციებს, როგორიცაა ჰეზბოლა და ალ-ქაიდა ყოფილიყვნენ ევროპის გულში. სატელევიზიო ინტერვიუში ბრიგადის გენერალმა საიდ ქასემიმ, IRGC-ის ყოფილმა ოფიცერმა, ისაუბრა ირანის თანამშრომლობაზე ალ-ქაიდასთან ბოსნია და ჰერცეგოვინაში და იმაზე, თუ როგორ ამზადებდა ირანი ალ-ქაიდას მებრძოლებს, აძლევდა მათ იარაღს და ფინანსურ დახმარებას. ამირ ფერშად იბრაჰიმიმ, IRGC-ს ლტოლვილმა, რომელიც მუშაობდა საიდ ქასემთან, გაარკვია, რომ ირანული ძალები ბოსნია-ჰერცეგოვინის ომში მხოლოდ იმისთვის იყვნენ ჩართული, რომ ლიბანში ჰეზბოლას ევროპული ასლი შეექმნათ. [35]

მიუხედავად იმისა, რომ IRGC-ის ყუდსის ძალებმა დატოვა ქვეყანა, ირანმა შეინარჩუნა თავისი დაზვერვა და პოლიტიკური გავლენა ბოსნიის სახელმწიფო ინსტიტუტებზე. ირანელებმა გააცნობიერეს, რომ ბოსნიაში ლიბანის, ერაყისა და იემენის მსგავსი მილიციის შექმნით მათი რევოლუციის ექსპორტი შეუძლებელი იქნებოდა მრავალი მიზეზის გამო, თუნდაც საერთო დოქტრინის არარსებობა, მოშორებული გეოგრაფიული მდებარეობა, ასევე ისეთი კონკურენტების არსებობა რეგიონში, როგორიც იყო აშშ, ევროპული ქვეყნები, თურქეთი თუ რუსეთი. ამიტომ, ირანმა შეიმუშავა ახალი „რბილი სტრატეგია“ ბოსნია და ჰერცეგოვინაში გავლენის დასაბრუნებლად. ირანის რბილი სტრატეგია დიდწილად იყო დამოკიდებული სამიზნე ქვეყანაში რელიგიური, კულტურული და მედია ცენტრების შექმნაზე. [36]

---

[34] Montazeri, Z. G. (2019, June 05). The secret history of the Quds Force of the IRGC in the Bosnian War. BBC NEWS: https://www.bbc.com/persian/iran-features-48511526 Accessed 28 July, 2022

[35] Khatab, M. (2019, August 02). Iran's Influence in Bosnia, a Dagger in the Flank of Europe. MENA RESEARCH CENTER: https://mena-studies.org/irans-influence-in-bosnia-a-dagger-in-the-flank-of-europe/ Accessed 28 July, 2022

[36] Ibid

მთელი რიგი პრო-ირანული ორგანიზაციები, ნაწილობრივ მემკვიდრეობით მიღებული 1990-იანი წლების დასაწყისიდან, დღესაც საკმაოდ აქტიურია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. ზოგიერთ მათგანს პირდაპირ ირანის სახელმწიფო აფინანსებს, სხვები კი წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უარყოფენ თეირანთან რაიმე ფორმალურ კავშირს, თუმცა მათი საქმიანობიდან გამომდინარე, მაინც აშკარად ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებიან. [37]

ირანის ისლამური რესპუბლიკის რადიომაუწყებლობის (IRIB) რადიო პროგრამა ბოსნიურ ენაზე არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ირანული სახელმწიფო პროპაგანდისტული საშუალება ბოსნია და ჰერცეგოვინაში. Sahar Balkans, IRIB-ის შვილობილი კომპანია, რომელმაც ოფიციალურად დაიწყო მაუწყებლობა ბოსნია და ჰერცეგოვიაში 1995 წლის თებერვალში და მიზნად უპირველეს ყოვლისა, ისახავს ირანის რეჟიმის პოზიტიური იმიჯის შექმნას. ირანულმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ BIRDS-მა გახსნა თავისი ოფისი სარაევოში 1997 წელს ბოსნია და ჰერცეგოვინის რეკონსტრუქციის დასაფინანსებლად და ლტოლვილთა დაბრუნების მხარდასაჭერად. ამას გარდა, არასამთავრობო ორგანიზაცია, იბნ სინას ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 1996 წელს ირანისა და ბოსნია და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებისა და ფიზიკური პირების კონსორციუმის მიერ. აგრეთვე, სპარსულ-ბოსნიური კოლეჯი ლიშევოში.[38] ბოსნია და ჰერცეგოვინაში კიდევ ერთი ძალიან გავლენიანი და ავტორიტეტული კულტურული ცენტრია Mulla Sadr Foundation, რომელიც სარაევოში 2003 წლიდან მუშაობს. ამ ფონდს ხელმძღვანელობს შიიტი სასულიერო პირი აკბარ ეიდი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ირანის უზენაესი ლიდერის აიათოლა ხომეინის წარმომადგენელი ბალკანეთის სახელმწიფოებისთვის. როგორც აკბარ ეიდის ვებგვერდიდან და განცხადებებიდან ჩანს, ფონდს აქვს მკაფიო განზრახვა ბოსნიელი სუნიტი მუსულმანები გარდაქმნას შიიტურ სექტად.[39]

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი იმ დროს მოხდა, როცა ირანის სახელმწიფომ ვერ შეძლო მჭიდრო კავშირის დამყარება ბოსნია და ჰერცეგოვინის მთავრობასთან. ნებისმიერი სახის დიპლომატიური ვიზიტები ძალზე იშვიათია: ირანის სახელმწიფოს

[37] K, H. (2020, November 14). Iran's Overseas Propaganda: A Poor Harvest in Bosnia and Herzegovina. Retrieved from IRANWIRE: https://iranwire.com/en/features/68007 Accessed 26 July, 2022
[38] K, H. (2020, November 14). Iran's Overseas Propaganda: A Poor Harvest in Bosnia and Herzegovina. Retrieved from IRANWIRE: https://iranwire.com/en/features/68007 Accessed 26 July, 2022
[39] Berkolli, L. (2021, June 08). Iran's Cultural Presence in Bosnia and Herzegovina. Retrieved from IRAM: https://iramcenter.org/en/irans-cultural-presence-in-bosnia-and-herzegovina/?send_cookie_permissions=OK Accessed 26 July, 2022

მეთაურის ბოლო ოფიციალური ვიზიტი ბოსნიაში 2005 წელს შედგა. ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობა არ არსებობს, რადგან ბოსნია ამჟამად მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოსთან და გადის წვრთნას უახლოეს მომავალში ამ ალიანსში გასაწევრიანებლად. ასევე არ ხდება სტუდენტების გაცვლა უნივერსიტეტის დონეზე, გარდა მცირე რაოდენობის სტუდენტებისა, რომლებიც ესწრებიან სპარსული ენის კურსებს ირანში. დაბალია ორმხრივი ვაჭრობა და ტურიზმი.[40]

2006 წლის ლიბანის ომი, როგორც ირან-ისრაელის მარიონეტული ომი

ჰეზბოლას მებრძოლების მიერ ისრაელის სამი რეზერვისტის დახოცვამ და კიდევ ორის გატაცებამ 2006 წლის 12 ივლისს ზარიტთან, ისრაელში, მოახდინა 33-დღიანი ომის პროვოცირება, რომელსაც ლიბანის მეორე ომის სახელით მოიხსენიებენ. 2006 წლის ზაფხულისთვის ჰეზბოლამ შეკრიბა კარგად გაწვრთნილი, კარგად შეიარაღებული, მოტივირებული და მაღალგანვითარებული საბრძოლო მანქანა ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში. [41]ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ეჰუდ ოლმერტმა შეჭრას "ომის აქტი" უწოდა და განაცხადა, რომ ლიბანს საკუთარ ქმედებაზე პასუხი მოეთხოვებოდა. ისრაელის საჰაერო ძალებმა, (IAF) დარწმუნებულებმა იმაში, რომ მათ შეეძლოთ ჰეზბოლას იძულება განიარაღებასა და სამხრეთ ლიბანიდან ჯარების გაყვანა ეფექტებზე დაფუძნებული (effects-based) საჰაერო კამპანიის წამოწყებით, დაიწყეს სამიზნეების დაბომბვა მთელი ლიბანის მასშტაბით. ჰეზბოლამ სამხრეთ ლიბანიდან მასიური შეტევა ისრაელზე 24 საათის შემდეგ დაიწყო. [42] ჰეზბოლამ მოახერხა ისრაელების გაძევება სამხრეთ ლიბანიდან 2000 წელს 18-წლიანი სამხედრო კამპანიის შედეგად, რამაც გამოავლინა IDF-ის სამარცხვინო მარცხი. მომდევნო წლებში ჰეზბოლა წმინდა პარტიზანული არმიიდან "ახალი მოდელის" არმიად გამოცხადდა. ჰეზბოლას გეგმა იმდენად კარგად ჰქონდა შემუშავებული, რომ ისრაელს მხოლოდ არჩევანის უფლებას უტოვებდა ორ არასასურველ გეგმას შორის, ან თავი აერიდებინა სახმელეთო ოპერაციებისათვის და ამით

[40] K, H. (2020, November 14). Iran's Overseas Propaganda: A Poor Harvest in Bosnia and Herzegovina. Retrieved from IRANWIRE: https://iranwire.com/en/features/68007 Accessed 26 July, 2022
[41] Farquhar, S. C. (2009). A Study of the Second Lebanon War and Operation CAST LEAD. Kansas: Combat Studies Institute Press.
[42] Oktav, Ö. Z. (2017). Understanding Iran's Approach to Violent Non-state Actors: The ISIS and YPG Cases. Violent Non-State Actors and the Syrian Civil War, 193–210. doi:10.1007/978-3-319-67528-2_10

გამოეაშკარავებინა საკუთარი დაუცველობა, ან შესულიყო ლიბანში და განეცადა ზარალი.[43]

2006 წლის ლიბანის ომის დროს, ითვლებოდა, რომ ირანის რევოლუციური გვარდია პირდაპირ ეხმარებოდა ჰეზბოლას მებრძოლებს ისრაელზე თავდასხმებში. მრავალი წყარო ვარაუდობს, რომ რევოლუციური გვარდიის ასობით ოფიცერი მონაწილეობდა ომის დროს ისრაელზე სარაკეტო თავდასხმებში და იცავდა ჰეზბოლას შორ მანძილზე მოქმედ რაკეტებს. რევოლუციური გვარდიის მებრძოლები ომის დროს ღიად მოქმედებდნენ ჰეზბოლას ფორპოსტებში.

ჰეზბოლას, როგორც არასახელმწიფო აქტორის და ირანის სტრატეგიული გათვლების ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურის როლი ყველაზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა 2006 წლის ლიბანის ომში ჰეზბოლას ტრიუმფში. ჰეზბოლას ისრაელზე გამარჯვებით თეირანს მიეცა საშუალება, რომ ფართოდ გაევრცელებინა მესიჯი, რომ მისი აქტიური მონაწილეობა ლიბანის შიიტური თემის ცხოვრებაში და მისი ადვოკატირება პალესტინის საკითხზე ჰამასთან თანამშრომლობით ძირითადად მიმართული იყო „ჩაგრული“ (შიიტები და პალესტინელები) თემების გადასარჩენად. 2006 წლის ივლისის ომი იყო გარდამტეხი წერტილი შიიტური ნახევარმთვარის ჰეზბოლა-ჰამასი-ირანი-სირია ჩამოყალიბებაში, რომელიც არა მხოლოდ დაეხმარა ირანს და სირიას, აგრეთვე ჰამასს და ჰეზბოლას თავიანთი პოპულარულობის გაზრდაში არაბი მოსახლეობის თვალში და ასევე არაბებმა ქუჩებში, არამედ ასევე ამით განადგურდა ისრაელის უძლეველობის იმიჯი. სტატუს კვოს შენარჩუნებისადმი ირანის წინააღმდეგობის ფართო ზრდა მთელ ახლო აღმოსავლეთში, კულტურული და ფსიქოლოგიური ძალების სტიმულირება ჰეზბოლასა და ჰამასთან თანამშრომლობის პარალელურად 2006 წლის ომი დროს ზუსტად ასახავს ირანის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს. ირანის უზენაესი ლიდერები, რომლებმაც დაასახელეს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრები, ძირითადად შეერთებული შტატები და ისრაელი, როგორც „ბოროტი ძალები“ , რევოლუციის შემდეგ იყენებდნენ სტიგმატიზაციასთან ბრძოლას, როგორც თავიანთი საგარეო პოლიტიკის მთავარ იარაღს.[44] ამგვარად, ირანმა მოირგო ახლო აღმოსავლეთის ჩაგრული, მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილი, ეკონომიკურად გაჭირვებული მუსლიმების საერთაშორისო ლიდერის როლი.

[43] Oktav, Ö. Z. (2017). Understanding Iran's Approach to Violent Non-state Actors: The ISIS and YPG Cases. Violent Non-State Actors and the Syrian Civil War, 193–210. doi:10.1007/978-3-319-67528-2_10
[44] Oktav, Ö. Z. (2017). Understanding Iran's Approach to Violent Non-state Actors: The ISIS and YPG Cases. Violent Non-State Actors and the Syrian Civil War, 193–210. doi:10.1007/978-3-319-67528-2_10

ირანის მხარდაჭერით ჰეზბოლამ უზრუნველყო ის ძირითადი საჭიროებები, რაც ლიბანის მთავრობამ ვერ მოახერხა. [45] 2006 წლის ომი ლიბანში, ირანმა მთავარ მხარდამჭერ ჰეზბოლასთან ერთად უდიდესი წარმატებით მოახერხა ყველა მუსლიმის გაერთიანება მიუხედავად სექტანტური განსხვავებებისა. [46]

ლიბანის ომმა აჩვენა ისრაელს ირანის ჩართულობის მასშტაბი ჰეზბოლას დაფინანსებითა და სამხედრო წვრთნების მეშვეობით. ისრაელის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის, ბრიგადის გენერალი დორ შალომის განცხადებით, ირანელი მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჰეზბოლას აღჭურვა ზუსტად მართვადი რაკეტებით, რომლებსაც შეეძლოთ სტრატეგიულ სამიზნეებზე შეტევა. ტერორისტული თავდასხმები, კიბერშეტევები ჰეზბოლას ეკონომიკური და სამხედრო დახმარება ირანის მიერ ისრაელის წინააღმდეეგ შემუშავებული ჰიბრიდული პოლიტიკის ელემენტებს წარმოადგენს. ლიბანის ომის დროს ჰეზბოლამ ლიბანიდან 4000 რაკეტა ესროლა ისრაელს, რომელთა სამიზნეებს ძირითადად ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე დასახლებები წარმოადგენდნენ. თუმცა ომის დროს ჰეზბოლას მიერ ისრაელზე გასროლა არ იყო ეფექტური სიზუსტითა და ზარალის თვალსაზრისით, ამიტომ, როგორც ბრიგადის გენერალი დორ შალომი განმარტავს, ჰეზბოლას სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ირანელებმა გადაწყვიტეს მაღალი სიზუსტის (ათი მეტრის დონე) რაკეტების შექმნა და ჰეზბოლასთვის გადაცემა. ამ შესაძლებლობების წყალობით, ირანს ეძლევა საშუალება ჰეზბოლას მეშვეობით ზუსტად დაარტყას ისრაელის სასიცოცხლო სამიზნეებს, როგორიცაა ელექტროსადგურები სამთავრობო ოფისები და IDF ბაზები. ისრაელის სადაზვერვო სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით, ზუსტი მართვადი რაკეტების პროექტის უკან ყუდსის ძალები იდგნენ, კერძოდ, IRGC-ის გენერალი ქასემ სოლეიმანი, რომელიც 2020 წლის იანვარში ერაყში, შეერთებული შტატების მიერ იქნა მოკლული. მაღალი სიზუსტის სარაკეტო პროექტი ორ მთავარ მიზანს ისახავდა. პირველი იყო ისრაელთან სროლის დიაპაზონის შემცირება. ვინაიდან მანძილი ირანსა და ისრაელს შორის არის ათასობით კილომეტრია, სამხრეთ ლიბანი კი დაახლოებით რამდენიმე ასეულ კილომეტრში მდებარეობს ისრაელის სახელმწიფოს ცენტრიდან, ამიტომ, მაშინ როცა ირანს ისრაელზე დარტყმისთვის უფრო გრძელი რადიუსის რაკეტების გაშვება სჭირდება, ჰეზბოლას შეუძლია იგივე მიზანს მიაღწიოს ლიბანიდან უფრო მოკლე რადიუსის

[45] Bahgat, G. (2008). Iran and the United States: Reconcilable differences? Iranian Studies, 41(2), 139–154.
[46] Oktav, Ö. Z. (2017). Understanding Iran's Approach to Violent Non-state Actors: The ISIS and YPG Cases. Violent Non-State Actors and the Syrian Civil War, 193–210. doi:10.1007/978-3-319-67528-2_10

რაკეტებით. სოლეიმანის მეორე მიზანი იყო ირანისთვის ბრძოლის ველის ადგილის თავიდან აცილება. სირიიდან და ლიბანიდან ისრაელზე სროლის შემთხვევაში, ისრაელი საპასუხო დარტყმას ამ ქვეყნებზე მოახდენს და არა ირანზე, რომელიც თავის მხრივ უვნებელი დარჩება,. შესაბამისად, თეირანისთვის ბევრად მომგებიანია მისი მარიონეტული ორგანიზაციების დაფინანსება და შეიარაღება, რადგან ფრონტის წინა ხაზზეც სწორედ ისინი იქნებიან წარმოდგენილნი.[47]

ირანის ჩართულობა ასადის მხარეს სირიის სამოქალაქო ომში

სირიაში ირანის მარიონეტული ქსელი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დაწყებამდე გავრცელდა. კონფლიქტის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, თეირანმა ასადის დასახმარებლად მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა წამოიწყო, რაც გულისხმობდა IRGC- სა და ირანის არმიის გაგზავნას სირიელი სამხედროებისა და სამხედრო საშუალებების მოსამზადებლად, ასევე ქვეყანაში ახალი და გაუმჯობესებული სამხედროებისა და სხვა არასახელმწიფო აგრესიული ორგანიზაციების ზრდას. 2012 წელს შეიქმა ავღანეთის შიიტური უმცირესობით, ჰაზარებით დაკომპლექტებული ფატემიუნის ბრიგადა ასადის რეჟიმის მხარდაჭერისათვის (მებრძოლებს თვეში რამდენიმე ასეულ დოლარს უხდიდნენ, ასევე პირდებოდნენ ბინადრობის უფლებას). 2012 წელს, ჰეზბოლამ და ერაყელმა მარიონეტებმა დაიწყეს ძალების გადაყვანა სირიაში. ერაყიდან შედიოდნენ ირანის მიერ მხარდაჭერილი „ალ ჰაშდ ალ-შააბი“(al-Hashd al-Shaabi), იგივე სახალხო მობილიზაციის ძალები (Popular Mobilization Forces PMF) ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამთავრობო მილიციის მომზადებაში ირანის მიერ მხარდაჭერილმა ძალებმა სირიაში, როგორიცაა ქუვატ ალ-რიდა(ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც ახლა სირიის ჰეზბოლას ნაწილია). სახელფასო წახალისება და დასაქმების სტრატეგია გამოიყენებოდა სირიაში მოქმედი სხვა მარიონეტული ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა ზეინაბიუნ ბრიგადა და კატაიბ ჰეზბოლა.[48]

ირანი ენთუზიაზმით უჭერდა მხარს აჯანყებებს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ტუნისი, ეგვიპტე, ლიბია და ბაჰრეინი და მათ ირანის ისლამური რევოლუციით შთაგონებულ

[47] Christian Kaunert, O. W. (2020). The Securitisation of Hybrid Warfare through Practices within the Iran-Israel conflict –Israel's practices for securitising Hezbollah's Proxy War. SECURITY DEFENCE, 100-114.
[48] Mette Mayli Albæk, P. D. (2020). The Controller: How Basil Hassan Launched Islamic State Terror into the Skies. COMBATING TERRORISM CENTER AT WEST POINT VOLUME 12, ISSUE 5, 1-51.

„ისლამურ გამოღვიძებას“ უწოდებდა. [49] თუმცა, მაშინ როცა არაბულმა გაზაფხულმა სირიაში მიაღწია 2011 წლის ივლისში, ირანმა კურსი შეიცვალა და დაიწყო სირიის აჯანყების არაბულ სამყაროში მიმდინარე პროცესებისგან დიფერენცირება. მიუხედავად იმისა, რომ სირიის აჯანყება თავიდან მშვიდობიანი და დემოკრატიული იყო, თეირანმა სწრაფად დაგმო იგი და შეერთებული შტატებისა და ისრაელის მიერ მოგონილ შეთქმულებად გამოაცხადა, რომელიც ასადის რეჟიმისა და წინააღმდეგობის ღერძის განადგურებას ისახავდა მიზნად.[50]

„არაბულმა გაზაფხულმა“ და, კერძოდ, სირიის კრიზისმა გარკვეულწილად გაართულა თეირანის მიმზიდველობის მასშტაბი არაბული სამყაროს მიმართ რიგი მიზეზების გამო. სირიის კრიზისმა გამოიწვია მკვეთრი განხეთქილება სუნიტებსა და შიიტებს შორის, შესაბამისად, თეირანი ვეღარ შეინარჩუნებდა დაჩაგრული მუსლიმების უფლებების დასაცავად მიმართულ თავის ჩვეულ პოლიტიკას სექტანტური განსხვავებების მიუხედავად. ასევე, არაბული აჯანყებებისადმი ირანის მიდგომის ამბივალენტურობამ გამოიწვია სანდოობის დაკარგვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აჯანყებულების მხარდაჭერის პარალელურად ბაჰრეინში, იემენსა და ტუნისში, მისმა დიფერენციაციის პოლიტიკამ და სირიაში მიმდინარე მოვლენების დახატვამ, როგორც უცხო ძალების მიერ მანიპულირებადი მოძალადე ადგილობრივი აქტორების ქმედებები, განაპირობა მთელი რიგი ისლამური აქტორების განცალკევება და დაშორება ამ მიდგომისგან. [51] ეს მოიცავდა არა მხოლოდ სალაფიტურ მოძრაობებს, არამედ მუსლიმთა საძმოს და ზომიერ ისლამისტური მოძრაობებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ირანული მართვის სტილს.[52]

2012 წლის მაისიდან ირანი აწარმოებდა ოპერაციებს ასადთან, აგზავნიდა ყუდსის ძალებს სირიაში და დაარწმუნა ასადი, რომ დახმარებოდა საქონლისა და იარაღის გადატანაში ერაყის ტერიტორიაზე და ხელი შეეწყო სირიის ვაჭრობისა და დაფინანსებისათვის ერაყის ბანკების მეშვეობით. ეს დაეხმარა ასადს წინააღმდეგობა გაეწია შეერთებული შტატების და რეგიონის ქვეყნების (თურქეთი, სპარსეთის ყურის ქვეყნები) მიერ დაწესებული სანქციებისათვის. ირანის ღია მხარდაჭერამ სირიისთვის

[49] Hokayem, E. (2014). Iran, the Gulf States and the Syrian civil war. Survival: Global Politics and Strategy, 56(6), 59–86. , DOI: 10.1080/00396338.2014.985438
[50] Why Tehran Won't Abandon Assad(ism). Mohsen Milani. Pages 79-93 | Published online: 12 Dec 2013. Pages 79-93 https://doi.org/10.1080/0163660X.2013.861715
[51] Oktav, Ö. Z. (2017). Understanding Iran's Approach to Violent Non-state Actors: The ISIS and YPG Cases. Violent Non-State Actors and the Syrian Civil War, 193–210. doi:10.1007/978-3-319-67528-2_10
[52] Hokayem, E. (2014). Iran, the Gulf States and the Syrian civil war. Survival: Global Politics and Strategy, 56(6), 59–86. , DOI: 10.1080/00396338.2014.985438

კიდევ უფრო გაამწვავა სუნიტებსა და შიიტებს შორის არსებული განხეთქილება და შეცვალა მისი კავშირების ბუნება VNSA-სთან, რამაც თავის მხრივ, წნეხის ქვეშ მოაქცია არსებული კავშირი. მაგალითად, ჰამასმა 2012 წლის იანვარში თავისი ოფისი სირიიდან ყატარში გადაიტანა, 23 მილიონი დოლარის ღირებულების ფინანსურმა მხარდაჭერამ შიიტური ირანისგან კი თანდათანობით კლება დაიწყო იმ ცნობების გამო, რომლის თანახმადაც ჰამასის სამხედრო ფრთა ეხმარებოდა სუნიტ მეამბოხეებს, რომლებიც ებრძოდნენ ასადის რეჟიმს. [53] ამან ასევე აჩვენა ირანის ამბიციური პოლიტიკის შეზღუდვები ყველა მუსლიმის გაერთიანების შესახებ. ირანს ასადის რეჟიმის გადარჩენა საკმაოდ ღირებული ფასი დაუჯდა. ირანმა „არა მხოლოდ საწვავი და იარაღი, არამედ ასეულობით "მრჩეველი" გაგზავნა ელიტური ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსიდან (IRGC), აგრეთვე ათასობით შიიტური მილიცია, რომელიც ირანმა სათანადოდ აღზარდა, შეიარაღა, გაწვრთნა და დააფინანსა ლიბანსა და ერაყში". [54] ირანმა შიიტი მებრძოლების რეკრუტირებაც კი განახორციელა ავღანეთიდან. 2012 წლიდან, ირანმა მინიმუმ სამი გენერალი დაკარგა სირიაში. სირიული ოპოზიციური წყაროების განცხადებით, ირანმა სირიისთვის 15 მილიარდი დოლარის ოდენობის ხარჯი გასწია, დახმარების დიდ ნაწილს საწვავი წარმოადგენდა. 10 ათასობით შიიტმა ახალწვეულმა გაიარა სამხედრო მომზადება ქ. თეირანის მახლობლად ბანაკში სირიაში გაგზავნამდე. [55]ჰამასის ოფიციალურმა პირებმა დიდი ძალისხმევა გაიღეს ირანთან კონტაქტების განახლებისთვის. მაგალითად, ჰამასის ლიდერი რამდენჯერმე შეხვდა ირანის წარმომადგენლებს ანკარასა და დოჰაში.[56] და, როგორც ჰეზბოლას ლიდერი ჰასან ნასრალა აღნიშნავს, ცდილობდა კვლავ შეერთებოდა ირან-სირიის ღერძს.[57]

მარიონეტული შუამავლების მეშვეობით ირანმა შეიმუშავა მრავალმხრივი სტრატეგია ასადის და მისი რეჟიმის, ასევე ირანის ინტერესების სირიაში და ჰეზბოლას ლიბანში დასაცავად. ამ სტრატეგიის პირველ ელემენტს წარმოადგენს ასადისთვის პირდაპირი

---

[53] The Guardian. (2014, January 9). Hamas and Iran rebuild ties three years after falling out over Syria. https://www.theguardian.com/world/2014/jan/09/hamas-iran-rebuild-ties-falling-out-syria

[54] Smyth, P. (2014, September 18). All the Ayatollah's men, foreign policy. Foreign Policy. https://foreignpolicy.com/2014/09/18/all-the-ayatollahs-men/

[55] The Economist. (2015, January 3). Death of a general. https://www.economist.com/middle-east-and-africa/2014/12/30/death-of-a-general

[56] The Guardian. (2014, January 9). Hamas and Iran rebuild ties three years after falling out over Syria. https://www.theguardian.com/world/2014/jan/09/hamas-iran-rebuild-ties-falling-out-syria

[57] Khoury, J. (2015, March 12). Hamas and Tehran boost ties as Meshal meets Iran's Larijani in Doha. Haaretz. https://www.haaretz.com/2015-03-12/ty-article/.premium/hamas-and-iran-boost-ties/0000017f-e998-d639-af7f-e9dfea1b0000

სამხედრო დახმარების გაწევა. ირანის რევოლუციური არმიის წევრებმა მას ტექნიკური და სადაზვერვო დახმარება გაუწიეს აჯანყების ჩასახშობად, რაც ასევე მოიცავდა საჭირო ტექნოლოგიებს სოციალური მედიაში საკომუნიკაციო არხებისა და ინტერნეტის ჩასახშობად. როგორც კი წინააღმდეგობა ასადის წინააღმდეგ ძალადობრივ და შეიარაღებულ ქმედებებში გადაიზარდა და სამოქალაქო ომამდე მივიდა, ირანმა აქტიურად დაიწყო სირიის მთავრობისათვის მრჩევლებისა და იარაღის გაგზავნა. ირანმა მალიკის ერაყის მთავრობის მხარდაჭერით, გამოიყენა ერაყის საჰაერო სივრცე აღჭურვილობის მიწოდებისთვის და პერსონალი სირიის მთავრობის გასაძლიერებლად.[58] 2012 წლის აგვისტოში სირიელმა მეამბოხეებმა ტყვედ აიყვანეს 48 ირანელი სირიის შიგნით, რომლებიც მათი მტკიცებით, რევოლუციური გვარდიის ყუდსის ძალის წევრებს წარმოადგენდნენ. ასადმა საბოლოოდ გაათავისუფლა 2000-ზე მეტი მეამბოხე პატიმარი ირანელი პატიმრების გათავისუფლების სანაცვლოდ.[59]

სირიის მიმართ ირანის სტრატეგიის მეორე ელემენტი არის სირიის სამოქალაქო ომის პოლიტიკური გადაწყვეტის გზის პოვნა ასადის რეჟიმის დაცვის პარალელურად. თეირანმა გააკეთა ასადის მიმართ თავის დიპლომატიურ ინიციატივებში ტაქტიკური ცვლილება დაახლოებით 2012 წელს და თუკი მანამდე ასადს ძალის გამოყენებისკენ მოუწოდებდა, შემდეგ უკვე ოპოზიციურ ძალებთან მოლაპარაკებების წარმოება შესთავაზა და ამისათვის 2012 წლის დეკემბერში ირანმა გამოაქვეყნა ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმა სირიისთვის, სადაც გაჟღერებული იყო მოწოდებები ძალადობის შეწყვეტისაკენ, ჰუმანიტარული დახმარების შესახებ სირიელი ხალხისათვის, სირიის წინააღმდეგ სანქციების მოხსნისა და დახმარების გაწევის შემდეგ სირიელი ლტოლვილებსა სახლებში დაბრუნების შესახებ. ეს შეთავაზება სირიის ოპოზიციურმა ძალებმა მაშინვე უარყვეს.[60]

ირანის სირიის სტრატეგიის მესამე ელემენტი გულისხმობს პროასადური საერთაშორისო ფრონტის შექმნას, რაც ხელს შეუშლიდა ნეიტრალურ ქვეყნების ასადის წინააღმდეგ ფართო საერთაშორისო კოალიციაში გაწევრიანებას. რეგიონულ დონეზე ირანი ზეწოლას ახდენდა ერაყზე ასადის რეჟიმისათვის მხარდაჭერისთვის მიუხედავად იმისა, რომ

---

[58] "Iraq Says It Can't Halt Arms to Syria," The New York Times, July 13, 2013, http://www.nytimes.com/2013/07/14/world/middleeast/iraq-says-it-cant-halt-arms-to-syria.html?_r = 0

[59] "UPDATE 3-Syrian rebels free 48 Iranians in prisoner swap -Turkish NGO," Chicago Tribune, January 9, 2013, http://articles.chicagotribune.com/2013-01-09/news/sns-rtsyria-crisisprisoners-update-3l5e9c964r-20130109_1_syrian-insurgents-al-baraa-brigadesyrian-government.

[60] Why Tehran Won't Abandon Assad(ism). Mohsen Milani. Pages 79-93 | Published online: 12 Dec 2013. Pages 79-93 https://doi.org/10.1080/0163660X.2013.861715

ასადმა ჯიჰადისტებს ერაყის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად სირიის საზღვრის გადაკვეთის უფლება მისცა ამერიკული ოკუპაციის დროს. ბოლო წლების განმავლობაში, სექტარიანული სამოქალაქო ომი სირიიდან ერაყში გარცელდა, რადგან ჯიჰადისტური ორგანიზაციები ერაყიდან და სირიიდან უფრო და უფრო კოორდინირებულად მოქმედებდნენ. ასევე მნიშვნელოვანია ირანის რუსეთთან დაახლოება და ერთობლივი მხარდაჭერა ასადის რეჟიმისათვის.

ირანის სტრატეგიის მეოთხე ელემენტი სირიის მიმართ გულისხმობს ეკონომიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას საკუთარი ინტერესების დაცვისა და გაძლიერებისათვის. ეკონომიკური ურთიერთობები ირანს და სირიას შორის არასოდეს ყოფილა მათი ალიანსის მამოძრავებელი ძალა, თუმცა 2010 წელს ექსპორტი ირანიდან სირიაში გაიზარდა $35.7 მილიონიდან 2000 წელს $387.4 მილიონამდე.

ირანის სტრატეგიის მეხუთე და პრევენციული ელემენტია ჰეზბოლას უპირობო მხარდაჭერა ასადის რეჟიმისათვის და პირდაპირი ინტერვენცია სირიაში. სანდრო წყაროები თავიდანვე საუბრობდნენ ჰეზბოლას ინტერვენციაზე, თუმცა ჰეზბოლა ამ ინფორმაციას უარყოფდა. 2013 წლის დასაწყისში დაჯგუფების მონაწილეობამ სირიაში ალ-ქაისარის ბრძოლაში ცხადყო, რომ ის ასადის დასაცავად საჭიროებისამებრ წავიდოდა იმდენად შორს, რამდენადაც ამას საჭიროება მოითხოვდა. ჰეზბოლა ირანთან ერთად მხარს უჭერდა „სახალხო კომიტეტების“ ან ადგილობრივი თავდაცვის ძალთა ქსელების ფორმირებას. ისინი თავიანთ სამხედრო ოპერაციებს სირიაში კოორდინირებულად აწარმოებდნენ. სირიაში ჰეზბოლას ინტერვენცია ასევე მიზნად ისახავდა ახალი ჯიჰადისტი და ექსტრემისტი ძალების დამარცხებას, როგორიც იყო მაგალითად, ალ-ნუსრას ფრონტი, რომელიც, სავარაუდოდ, 6-7 ათას მებრძოლს ითვლიდა.[61] თეირანის ინვესტიციებმა ასადის რეჟიმში 2014 წლისთვის გაამართლა. ირანმა მოახერხა დასავლეთის მხრიდან იმის აღიარება, რომ ირანის მხარდაჭერა იყო აუცილებელი ალ-კაიდასთან დაკავშირებულ ჯიჰადისტური დაჯგუფებების დასაპირისპირებლად (ალ-ნუსრა, ISIS).[62]

[61] Why Tehran Won't Abandon Assad(ism). Mohsen Milani. Pages 79-93 | Published online: 12 Dec 2013. Pages 79-93 https://doi.org/10.1080/0163660X.2013.861715

[62] Hokayem, E. (2014). Iran, the Gulf States and the Syrian civil war. Survival: Global Politics and Strategy, 56(6), 59–86.

ირანის ურთიერთობა ჰამასთან

ეგვიპტის სუნიტ ჯიჰადისტებთა მუსლიმთა საძმოდ ჩამოყალიბებულმა დაჯგუფებამ, ჰამასმა 1980-იან წლებში შეიმუშავა ოფიციალური ქარტია, რომელიც ითვალისწინებდა ისრაელის განადგურებას და „ებრაელ ბოევიკებთან“ ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად დაფუძნებული ორგანიზაციაა, განსხვავებით მისი მოკავშირე და მხარდამჭერი ჰეზბოლასაგან, ნაკლებად ზომიერი მეთოდებით გამოირჩევა და აგრძელებს ტერორისტულ თავდასხმებს, რომლის მსხვერპლსაც მშვიდობიანი მოქალაქეები წარმოადგენენ. [63]

ჰამასმა ირანთან მაღალი დონის კონტაქტების განვითარება 1990 წლიდან დაიწყო, როდესაც ისლამურმა რესპუბლიკამ მოიწვია ორი კონფერენცია პალესტინის საკითხის შესახებ 1990-1991 წლებში. დაახლოებით ამ დროს, ჯგუფი ცნობილი გახდა პალესტინის ინტიფადაში მონაწილეობით ისრაელის წინააღმდეგ, რამაც განაპირობა იცხაკ რაბინის მთავრობის მიერ 1992 წელს ჰამასის 418 წამყვანი ფიგურის ლიბანში დეპორტაცია. ირანმა და ირანის გუშაგთა არმიის კორპუსმა უმასპინძლა ჰამასის დეპორტირებულებს და ასწავლიდა მათ თვითმკვლელი ბომბების დამზადებასა და გამოყენებას, იმ ტაქტიკას, რომლის პიონერიც ჰეზბოლა იყო. ჰამასმა და ღაზაში დაფუძნებულმა სხვა ჯგუფებმა სწრაფად დაიწყეს თავდასხმები ისრაელის წინააღმდეგ, ირანი კი ჯგუფებს ყოველწლიურად 50 მილიონ დოლარს უგზავნიდა.[64] დამთხვევა არ არის, რომ პირველი წარმატებული აფეთქება ჰამასის თვითმკვლელი ტერორისტის მიერ 1994 წლის დასაწყისში მოხდა, მას შემდეგ, რაც დაჯგუფებამ ჰეზბოლასგან შესაბამისი ინსტრუქცია მიიღო. [65]

ირანსა და ჰამასს შორის ურთიერთობები თანდათანობით ძლიერდებოდა. 1980-იანი წლების ბოლოს ჰამასი და ირანი ერთმანეთს შეეჯახნენ ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიც იყო ირანის მხარდაჭერა PIJ-ისთვის; ურთიერთობების მეორე ეტაპზე, რომელიც მოჰყვა სპარსეთის ყურის პირველ ომს, ირანი იმედოვნებდა, რომ ერაყის დამარცხების შემდეგ დომინანტური ძალა გახდებოდა და ამ ამოცანის იარაღად სწორედ ჰამასს

[63] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 1-12.

[64] Levy, I. (2021, June 01). How Iran Fuels Hamas Terrorism. THE WASHINGTON INSTITUTE for Near East Policy: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/how-iran-fuels-hamas-terrorism Accessed 28 July, 2022

[65] : Rafael D. Frankel (2012): Keeping Hamas and Hezbollah Out of a War with Iran, The Washington Quarterly, 35:4, 53-65 : http://dx.doi.org/10.1080/0163660X.2012.725018

გამოიყენებდა. ბოლო ეტაპი მეორე ინტიფადის შემდეგ პერიოდს, ერაყში მეორედ შეჭრას, იასერ არაფატის სიკვდილს და ჰამასის პოლიტიკაში შემოსვლას გულისხმობს. დამუქრებით [66]. მეორე ინტიფადის დროისათვის, 2000 წლიდან ჰეზბოლა აქტიურად ეხმარებოდა ჰამასს, ისევე როგორც PIJ-ს და ახდენდა პალესტინელების წახალისებას, რომ გამოეყენებინათ ძალადობრივი წინააღმდეგობა.

ამ ეტაპზე ჰამასის და ირანის ურთიერთობა სრულფასოვან ალიანსად გადაიქცა. ირანი განიხილავდა ჰამასს, როგორც შესანიშნავ იარაღს თავისი რეგიონული ამბიციების მისაღწევად და ჰამასი, კი თავის მხრივ, უფრო და უფრო იზოლირებული საერთაშორისო საზოგადოებისგან ირანს სანდო მფარველად მიიჩნევდა. [67] ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა ირანის ჰამასის სარაკეტო პროგრამის განვითარების მცდელობებით. 2005 წელს ღაზადან ისრაელის გასვლისა და ჰამასის მიერ ტერიტორიის დაკავების შემდეგ, ჯგუფმა დაიწყო ისრაელის აუფეთქებელი საბრძოლო მასალის შეგროვება რაკეტების დასამზადებლად. ასევე უფრო მოწინავე რაკეტები მიიღო სირიისგან და ირანისგან.[68] ჰამასი გადაიხარა წინააღმდეგობის ღერძისკენ ჰეზბოლას ომის შემდეგ ისრაელთან 2006 წელს, როდესაც პალესტინელი ისლამისტები ჰეზბოლას უყურებდნენ, როგორც IDF-ის წინააღმდეგ ომის წარმატებულ მაგალითს. [69] 2008-2009 წლებში ღაზას სექტორის კონფლიქტის დროს გამოჩნდა რამდენიმე ირანული იარაღი; 2012 წლის კონფლიქტის დროს, ჰამასი ირანულ დისტანციურ რაკეტებს Fajr-5 ისროდა თელ-ავივისა და იერუსალიმის მიმართულებით. ირანის გავლენა ასევე გამოიხატა ჰამასისა და ჰეზბოლას მუშაობის მეთოდების პარალელურ ევოლუციაში, ისრაელის მათი ტერიტორიებიდან გასვლის შემდეგ, კერძოდ, სარაკეტო, ნაღმტყორცნებიდან და ტანკსაწინააღმდეგო თავდასხმებამდე. [70]

ჰამასის საბრძოლო აღჭურვილობით მოსამარაგებლად ირანმა კონტრაბანდის სხვადასხვა მარშრუტები შეიმუშავა. ზოგიერთ შემთხვევაში, სინაის ბედუინმა კონტრაბანდისტებმა ისლამისტი პრეზიდენტის, ომარ ალ-ბაშირის თანხმობით საქონელი ღაზაში სუდანის

---

[66] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 1-12.
[67] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 1-12.
[68] Levy, I. (2021, June 01). How Iran Fuels Hamas Terrorism. THE WASHINGTON INSTITUTE for Near East Policy: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/how-iran-fuels-hamas-terrorism Accessed 28 July, 2022
[69] Rafael D. Frankel (2012): Keeping Hamas and Hezbollah Out of a War with Iran, The Washington Quarterly, 35:4, 53-65 : http://dx.doi.org/10.1080/0163660X.2012.725018
[70] Levy, I. (2021, June 01). How Iran Fuels Hamas Terrorism. THE WASHINGTON INSTITUTE for Near East Policy: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/how-iran-fuels-hamas-terrorism Accessed 28 July, 2022

გავლით შეიტანეს. მიუხედავად ამისა, ბაშირმა 2014 წელს გააძევა ირანელი ოფიციალური პირები სუდანიდან, ძირითადად იმ იმედით, რომ თავიდან აეცილებინა ეკონომიკური კოლაფსი რეგიონში თეირანის მთავარი კონკურენტის, საუდის არაბეთისგან ფინანსური დახმარების მიღების გზით. ირანმა და ჰეზბოლამ ასევე კონტრაბანდულად გადაიტანეს იარაღი და რაკეტების წარმოების აღჭურვილობა ზღვით. 2011 წელს სირიაში ომის დაწყებამ გააუარესა ურთიერთობა ჰამასსა და ირანს შორის, რადგან თეირანი მხარს უჭერდა ასადის რეჟიმს, ხოლო ჰამასი არაბულ სუნიტ ოპოზიციას. ჰამასმა კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობები საუდის არაბეთისთვის მხარდაჭერის გამოხატვით სპარსეთის ყურეში კოალიციის ომის დროს ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუსიტების წინააღმდეგ. 2011 წელს, მას შემდეგ, რაც ჰამასმა უარი თქვა ასადის რეჟიმის მხარდაჭერაზე, ირანმა შეამცირა ჰამასის დაფინანსება და მათ შორის ურთიერთობები მხოლოდ 2017 წელს განახლდა.

იმავე წლის აგვისტოში სინვარმა განაცხადა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა იყო მისი "ყველაზე დიდი ფინანსური და სამხედრო სპონსორი". მას შემდეგ ირანელი ოფიციალური პირები ხშირად აღნიშნავენ მათ როლს დაჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერებაში. 2021 წლის იანვარში IRGC-ის საჰაერო კოსმოსური ძალების მეთაურმა, ამირ ალი ჰაჯიზადემ განაცხადა: ”ყველა რაკეტა, რომელიც შეგიძლიათ ნახოთ ღაზასა და ლიბანში, შეიქმნა ირანის მხარდაჭერით”.

ჰამასის ოპერატიული და საწარმოო შესაძლებლობების გაფართოება ასახავს ირანის განახლებულ მხარდაჭერას. ისრაელის თავდაცვის ძალების შეფასებით, ჰამასს და სხვა დაჯგუფებებს ღაზაში 15000-მდე რაკეტა ჰქონდათ ბოლო ბრძოლების დასაწყისში. ირანულ მოდელებზე დაფუძნებული საშინაო რაკეტების დიზაინზე დაყრდნობით, ჰამასმა განაახლა თავისი არსენალი გაუმჯობესებული სიზუსტით, უფრო გრძელი მანძილით, მძიმე ქობინით და გაუმჯობესებული გამშვები საშუალებებით, როგორიცაა A-120. გარდა ამისა, მან დაამზადა და მართა სულ მცირე ექვსი შაჰაბ კამიკაძე დრონი, რომლებიც ძლიერ წააგავს ირანულ აბაბილის მოდელს. ასეთი შესაძლებლობები საშუალებას აძლევდა მას ხშირად გაესროლა წუთში ოცდაშვიდი რაკეტის სიჩქარით თელ-ავივის შორეული სამიზნეების წინააღმდეგ. [71]

[71] Ibid.

ირანმა ჰამასს და PIJ-ს მიაწოდა დიზაინი, კომპონენტები და რეკომენდაციები სხვადასხვა დიაპაზონის 30 000 რაკეტისგან შემდგარი არსენალი, რომელთა უმეტესობას შეეძლო დარტყმა სამხრეთ ისრაელისთვის, თუმცა ზოგიერთს ჩრდილოეთ ისრაელამდე მიღწევაც კი შეეძლო. ირანმა აჩვენა, რომ მის მარიონეტულ ტექნოლოგიას აქვს ისრაელის რთულ თავდაცვის სისტემებში შეღწევის პოტენციალი და ადამიანური რესურსითა და ინფრასტრუქტურის კუთხით მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობები აძლევს ირანს მნიშვნელოვან ბერკეტს ისრაელთან ჩრდილოვანი კონფლიქტის ესკალაციაში.[72]

ირანის კავშირები პალესტინის ისლამურ ჯიჰადთან

პალესტინის ისლამური ჯიჰადი, ჰამასის მსგავსად, მუსლიმთა ძმების განშტოებაა, რომელიც განაგრძობს ისრაელზე თავდასხმას პალესტინის დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. ჰამასის მსგავსად, ეს ჯგუფი ასევე იღებს მხარდაჭერას ირანისგან და კრიტიკულად არის დამოკიდებული ამ მხარდაჭერაზე საკუთარი ოპერაციების განხორციელებისას. მიუხედავად იმისა, რომ ის 1000-მდე წევრისგან შედგება, რეგულარულად უტევს ისრაელს რაკეტებისა და სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებით. ორგანიზაცია არ სარგებლობს პოლიტიკური სტატუსით, როგორითაც ჰეზბოლა და ჰამასი, თუმცა მათთან მჭიდრო სამუშაო ურთიერთობის შენარჩუნებით და დამასკოსა და თეირანისგან მიღებული მხარდაჭერის მეშვეობით იგი მნიშვნელოვან ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს. PIJ ჰამასთან და ჰეზბოლასთან შედარებით ნაკლებად ძლიერია, თუმცა ირანისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან დაჯგუფებას წარმოადგენს ლევანტში საკუთარი იდეოლოგიის პოპულარიზაციისა და ინტერესების წინსვლისათვის. PIJ დახმარებას ასევე იღებს როგორც ჰამასის, ასევე ჰეზბოლას მხრიდანაც. ეს უკანასკნელი ფინანსურ, სამხედრო დახმარებასა და მფარველობას ახორციელებს ისლამურ ჯიჰადზე. [73]

ირანმა 2015 წელს დაფინასება შეუწყვიტა პალესტინის ისლამურ ჯიჰადს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მხარი არ დაუჭირა თეირანის იემენში ჩართულობას. დაფინანსება

[72] IntelBrief: Iran's Role in Israel-Gaza Conflict . (2021, May 18). THE SOUFAN CENTER: https://thesoufancenter.org/intelbrief-2021-may-18 Accessed 29 July, 2022
[73] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 1-12.

განახლდა 2016 წლიდან და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის ცნობით, ირანი ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარზე მეტის გადარიცხვას ახდენდა პალესტინის ტერორისტული დაჯგუფებებისათვის, როგორიცაა ჰამასი, PIJ და პალესტინის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი. ეს ჯგუფები არიან პასუხისმგებელნი ტერორისტულ აქტებზე ღაზას სექტორში, დასავლეთ სანაპიროში, ლიბანში, სირიაში, ეგვიპტის უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ სინაის ნ.კ.-ზე, ისრაელისა და ამერიკის მოქალაქეების წინააღმდეგ. [74]

პალესტინის საკითხი რეგიონში ირანის დივერსიული პოლიტიკის ხერხემალია. ის აკანონებს ირანის რევოლუციურ შიიტურ რეჟიმს სუნიტურ სამყაროში და ამ საბაბით ერევა ახლო აღმოსავლეთის ყველა რეჟიმის საქმეებში. პალესტინელების მხარდაჭერა ძირს უთხრის სუნიტური რეჟიმების ლეგიტიმურობას, რომლებიც არ იზიარებენ მის ხედვას ისრაელის განადგურების შესახებ და ხელს უწყობენ კიდეც მათ დესტაბილიზაციას შიდა დივერსანტების მხარდაჭერით. ბუნებრივია, ირანის ფინანსური და სამხედრო სპონსორობა საომარი მოქმედებების დროსაც გრძელდებოდა, მაგალითად კამპანიები ისრაელსა და ღაზას შორის: Cast Lead (დეკემბერი 2008 - იანვარი 2009), Pillar of Defense (ნოემბერი 2012) და Protective Edge (2014 წლის აგვისტო). ირანის ოფიციალური პირები აღნიშნავდნენ, რომ ირანმა მიაწოდა PIJ-ს Fajr 5 რაკეტები, რომლებიც დაჯგუფებამ გამოიყენა თელ-ავივის თავდასხმისთვის. ირანისადმი თავისი იდეოლოგიური ერთგულების შესაბამისად, ისლამური ჯიჰადი იცავდა ხისტად ანტიისრაელურ პოზიციას და 2019 წელს ღიად საუბრობდა მოწინავე ტერორისტული ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელსაც ის ღაზას სექტორში ირანის მხარდაჭერით აშენებდა. ირანი მრავალი წელია ღაზას სექტორში იარაღს სინასა და ღაზას დამაკავშირებელი გვირაბებით აწვდის. მუჰამედ მურსი თავისი პრეზიდენტობის დროს (2012-2013) ცდილობდა გაეძლიერებინა ჰამასის მოძრაობა და შესაბამისად, ამ მარშრუტზე კონტრაბანდის მნიშვნელოვანი მოცულობა შეინიშნება. ამ მეთოდით ირანი ახორციელებდა რაკეტების, ნაღმტყორცნების, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების, ასევე იმ ნედლეული მასალების კონტრაბანდას, რომლებიც გამოიყენება ასაფეთქებელი ნივთიერებების დასამზადებლად. ირანი ასევე იყენებს საზღვაო არხს კონტრაბანდისთვის.

ირანი მართავს ფინანსური არხების ვრცელ სისტემას PIJ-სთვის, ასევე ღაზას სექტორში მოქმედები სხვა ორგანიზაციებისათვის. ეს სისტემა მოიცავს მოწამეთა ფონდს, ირანის

[74] POMPEO, M. R. (2020). OUTLAW REGIME: A CHRONICLE OF IRAN'S DESTRUCTIVE ACTIVITIES.

წითელ ნახევარმთვარეს, ასევე იმამ ხომეინის დახმარების ფონდს. [75]ირანი ყოველწლიურად 20-30 მილიონ დოლარს გამოყოფს ჰამასისასთვის და$2 მილიონს პალესტინის ისლამური ჯიჰადისათვის. გავრცელებული ინფორმაციით, ირანის მიერ პალესტინური ორგანიზაციების დაფინანსება სპარსეთის ყურეში ირანული ბანკების ფილიალების მეშვეობით ხორციელდება.[76]

ირანთან აფილირებული ძალები აღმოსავლეთში

2003 წელს, სადამ ჰუსეინის დაცემამ დიდი ხნის განმავლობაში ხელისუფლებას ჩამოშორებულ ერაყელ შიიტებს პოლიტიკაში დაბრუნების საშუალება მისცა, რამაც შესაბამისად, გააღო კარი ირანის გავლენისთვის. ირანზე მზარდი რიტორიკით და პოტენციური საფრთხით (ერაყის საზღვართან განლაგებული ასობით ათასი ამერიკელი ჯარისკაცი ირანს ემუქრებოდა) შეშფოთებულმა ირანის ლიდერებმა და IRGC-მ დაიწყეს მცირე ერაყელი შიიტური მილიციების წვრთნა აშშ-ზე თავდასხმისთვის გამოყენებისათვის. ირანის მოკავშირეები SCIRI-ში, რომელიც ცნობილი იყო, როგორც უმაღლესი საბჭოს ისლამური რევოლუცია ერაყში, ასევე IRGC-ის მიერ გაწვრთნილი და მასთან დაკავშირებული ბადრის ორგანიზაციის სამხედრო ფრთა მალევე გამოჩნდნენ ერაყში და ერაყის ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი დააყენეს. ერაყის საშინაო პოლიტიკა ირანისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა, რადგან ამ პერიოდში ირანისგან დისტანცირების სურვილით, SCIRI-მ სახელი შეიცვალა და გახდა ერაყის ისლამური უმაღლესი საბჭო გახდა(SICI) , ხოლო მისმა სასულიერო ლიდერებმა შეამცირეს თავიანთი ვალდებულებები ხომეინიზმთან მიმართებით. მან ხელი შეუწყო ბადრთან განხეთქილებას, რომელიც, ჰადი ალ-ამირის ხელმძღვანელობით თეირანისა და გუშაკთა კორპუსის ერთგულ ახალ პოლიტიკურ ერთეულად „ბადრის ორგანიზაციად“ ჩამოყალიბდა. ბადრის ორგანიზაცია (Badr Organisation) ერაყში წარმოადგენს 1982 წელს ჩამოყალიბებულ შიიტურ მილიციას, რომელსაც აფინანსებდა, წვრთნიდა და შეიარაღებას აწვდიდა ირანის ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსი. ეს არის ყველაზე ძველი და ყველაზე ძლიერი

[75] Mansharof, D. Y. (2020). The Relationship Between Iran and Palestinian Islamic Jihad. The Jerusalem Institute for Strategy and Security , 1-19.
[76] Brennan, J. (2008). The Conundrum of Iran: Strengthening Moderates without Acquiescing to Belligerence. The ANNALS of the American Academy of Political and Social Science, 618(1), 168–179. https://doi.org/10.1177/0002716208316732

ირანის მარიონეტი ერაყში. ირანის ხანგრძლივმა კონტაქტებმა ბადრის ორგანიზაციასა და ერაყის ისლამურ უმაღლეს საბჭოსთან, ასევე შიიტ პოლიტიკოსებთან ახლო ურთიერთობამ ირანს საშუალება მისცა ერაყის ერაყის პოლიტიკურ დინამიკაში შეეღწია.[77]

2014 წელს, ირანის ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსის მიერ და ყუდსის ძალების წვრთნის შედეგად შეიქმნა პაკისტანის შიიტური მილიცია, ზაინაბიუნის ბრიგადა, რომელიც რეკრუტირებული იყო ირანში მცხოვრები პაკისტანელებისგან , ასევე პაკისტანის ტომობრივი რაიონებიდან. ზაინაბიუნის ბრიგადა იბრძოდა სირიაში ასადის რეჟიმის ძალებთან ერთად. ზეინაბიუნის ბრიგადის მეთაურის მიხედვით, კომუნიკაციები ყუდსის ძალებთან უკვე არსებობდა 2001 წლის აშშ-ს ავღანეთში შეჭრის დროს. მათ სამიზნეს რადიკალური სუნიტი ისლამისტები წარმოადგენენ. როგორც ირკვევა, ჯგუფის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაწევრიანებამდე ცხოვრობდა ირანში, ყუმში, რელიგიურ სემინარიებში.[78]

ალ-აშთარის ბრიგადები წარმოადგენს გასამხედროებულ დაჯგუფებას ბაჰრეინში, რომელსაც აფინანსებს, წვრთნის და შეიარაღებას აწვდი ირანი. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა დაადანაშაულა აღნიშნული დაჯგუფება ბაჰრეინში ტერორისტულ თავდასხმებში ხელისუფლების დამხობის მიზნით. (2014 წელს დაჯგუფებამ ორი ბაჰრეინის პოლიციელი და ერთი ემირატი ოფიცერი მოკლა აფეთქების შედეგად).2017 წლის მარტში ფინანსთა სამინისტრომ ალ-აშთარის ბრიგადის ორი ლიდერი დაასახელა გლობალურ ტერორისტად. 2018 წლის ივლისში სახელმწიფო დეპარტამენტმა ის უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.[79]

ათწლეულების განმავლობაში, იემენში პოლიტიკური არასტაბილურობა გამწვავდა გარე ძალების, როგორც მებრძოლი ჯგუფების, ისე უცხო სახელმწიფოების გავლენით, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე იემენის ცენტრალური მთავრობის სტაბილურობის შელახვისა და გამოყენების მიზნით. ასეთმა მცდელობებმა ხელი შეუწყო ადგილობრივი წინააღმდეგობის ჯგუფების, განსაკუთრებით ჰუსიტების, ასევე ცნობილი როგორც ანსარ ალაჰის, შესაძლებლობების ზრდას და მილიტარიზაციას, რომლებიც

[77] Ostovar, A. (2016). SECTARIAN DILEMMAS IN IRANIAN FOREIGN POLICY: WHEN STRATEGY AND IDENTITY POLITICS COLLIDE. CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE, 1-40.
[78] Zahid, F. (2016). The Zainabiyoun Brigade: A Pakistani Shiite Militia Amid the Syrian Conflict. Terrorism Monitor Volume: 14 Issue: 11.
[79] Lane, A. (2021, May 20). Iran's Islamist Proxies in the Middle East. Wilson Center: https://www.wilsoncenter.org/article/irans-islamist-proxies Accessed 30 July, 2022

მიჰყვებიან შიიტური ისლამის ზაიდის სექტას. ჰუთების მეამბოხე ჯგუფი ჩამოყალიბდა 1990-იან წლებში, როგორც რევოლუციური ფრაქცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იემენის მაშინდელ პრეზიდენტს ალი აბდულა სალეჰს. პრეზიდენტ სალეჰის საშინაო პოლიტიკის დაგმობის გარდა, ჰუთებმა ასევე მკაცრად გააკრიტიკეს სალეხის წინააღმდეგობა ალ-ქაიდას ამბოხების მიმართ იემენში 2000-იანი წლების დასაწყისში. [80]

ჰუთებმა ირანის მხარდაჭერის მოპოვება დაახლოებით 2009 წელს დაიწყეს, თუმცა, ეს თავდაპირველი მხარდაჭერა მარგინალური იყო, რადგან იემენი იმ დროისთვის შორს იყო ირანის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებისგან. მდგომარეობა იემენში გამწვავდა 2011 წლიდან, როდესაც ქუჩის პროტესტებმა და ელიტებს შორის შიდა ჩხუბმა კიდევ უფრო დაასუსტა ისედაც მყიფე იემენის სახელმწიფო. სწორედ ამ სიტუაციით ისარგებლეს ჰუთებმა და გააფართოვეს თავიანთი ძალა, საბოლოოდ კი დაიპყრეს დედაქალაქი სანა 2014 წელს. სწორედ ამ ცვალებადმა ადგილობრივმა დინამიკამ გამოიწვია ირანის ინტერესი: საუდის არაბეთი განსაკუთრებით იყო შეშფოთებული ჰუთების გაძლიერების და დაუცველ სამხრეთ საზღვარზე საფრთხის გაზრდის გამო.

მნიშვნელოვანი გარდამტეხი მომენტი დადგა 2015 წლის მარტში, როდესაც საუდის არაბეთმა დაიწყო სამხედრო ინტერვენცია იემენში, რათა ოფიციალურად უკან დაეხიათ ჰუსიტები და აღედგინა პრეზიდენტ აბდრაბუ მანსურ ჰადის საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა ხელისუფლებაში. ამ დროიდან ლიბანის გასამხედროებულმა ჯგუფმა ჰეზბოლამ დაიწყო თანამშრომლობის გაფართოება ჰუთის მოძრაობასთან, უზრუნველყო იარაღი და წვრთნა მისი მებრძოლებისთვის, ასევე პოლიტიკური და სამხედრო რჩევები ჰუთების ხელმძღვანელობისთვის.[81]

ირანის მზარდმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰუთების გაძლიერებაში. ირანი ჯგუფს აწვდის მოწინავე იარაღს. ხშირ შემთხვევაში, ირანი იყენებს დახვეწილი კონტრაბანდისა და შესყიდვების ქსელებს უფრო ტექნოლოგიურად მოწინავე ნაწილების მიწოდებისთვის, რომლებსაც ჰუთები შემდეგ აერთიანებენ შეძენილ ან წარმოებულ სხვა ნაწილებთან. ისინი ამ ნაწილებს სამუშაო იარაღად აწყობენ ჰეზბოლასა და ისლამური

[80] Serhal, G. B. (2022, March 10). Iran's Proxy Network in Yemen: How the Houthis Capitalize on Hezbollah's Military & Operational Expertise. Research Programs | International Security and Terrorism | Middle East Security: https://trendsresearch.org/insight/irans-proxy-network-in-yemen-how-the-houthis-capitalize-on-hezbollahs-military-operational-expertise/ Accessed 5 August, 2022

[81] JUNEAU, T. (2021, August 03). HOW IRAN HELPED HOUTHIS EXPAND THEIR REACH. WAR ON ROCKS: https://warontherocks.com/2021/08/how-iran-helped-houthis-expand-their-reach/ Accessed 6 August, 2022

რევოლუციის გვარდიის მრჩევლების ტექნიკური დახმარებით. ამ მიდგომამ საშუალება მისცა ჰუთებს გამოეყენებინათ მოკლე და შორი დისტანციის თვითმფრინავები, ისევე როგორც რაკეტების მზარდი დივერსიფიცირებული ფლოტი, რომელსაც შეუძლია საუდის არაბეთის სიღრმეში დარტყმა. ჰუთებმა ასევე გამოიყენეს ჩინური წარმოების C-801 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები, რომელთა მოქმედების არეალი 42 კილომეტრია წითელ ზღვაში ტანკერებზე თავდასხმისთვის. ეს რაკეტები 2014 წლამდე ემსახურებოდა ეროვნულ არმიას, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი შემდგომში შეცვლილიყო ირანის ან ჰეზბოლას დახმარებით.[82]

მოსაზრებათა გარკვეული ნაწილით, ჰუთები შესაძლოა ირანის მარიონეტებად ჩაითვალონ. ამ აზრის მომხრეთა მიხედვით, ჰუთები თეირანის ბრძანებებს ექვემდებარებიან და არსებითად განსხვავებულ პოლიტიკას გაატარებდნენ ირანის მხარდაჭერის არარსებობის შემთხვევაში. ირანი იემენს იყენებს როგორც მისი მარიონეტი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით ჰამასისთვის იარაღის გასაგზავნად საჭირო პლატფორმას, ამ შემთხვევაში იემენში მიტანილი იარაღი სუდანში, შემდეგ კი ეგვიპტის გავლით ღაზას სექტორში გადაიგზავნება.[83] ჰუთებიც ირანთან კავშირებს თავიანთი ინტერესების გასაუმჯობესებლად და ურთიერთობის გაფართოების მიზნით.

ირანის მიერ VNSA-ს გამოყენების პრაქტიკის ანალიზი

ირანი უკვე ათწლეულების მანძილზე ეფექტურად იყენებს VNSA-ებს, როგორც საკუთარი საგარეო პოლიტიკის ჰიბრიდულ ელემენტებს, რათა საკუთარი გავლენის სფეროების გაზრდა და მიზნების მიღწევა შეძლოს. ირანისათვის მარიონეტული ჯგუფების მეშვეობით მოქმედება წარმოადგენს თავდასხმებისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საშუალებას. მაგალითად, აშშ-ს ხელმძღვანელობით კოალიციის ძალები მთელ ჩრდილოეთ ერაყში არაერთხელ გახდნენ სავარაუდო ირანული მარიონეტული ძალების,

[82] JUNEAU, T. (2021, August 03). HOW IRAN HELPED HOUTHIS EXPAND THEIR REACH. WAR ON ROCKS: https://warontherocks.com/2021/08/how-iran-helped-houthis-expand-their-reach/ Accessed 6 August, 2022
[83] Amer, A. A. (2021, April 09). Report outlines how Iran smuggles arms to Hamas. AL- MONITOR: https://www.al-monitor.com/originals/2021/04/report-outlines-how-iran-smuggles-arms-hamas Accessed 6 August, 2022

როგორიცაა Kata'ib Hezbollah და სხვა ორგანიზაციების თავდასხმის ობიექტები, რომლებიც ერაყის სახალხო მობილიზაციის ძალების ქოლგის ქვეშ ერთიანდებიან. აშშ-ის ოფიციალური პირები ამ თავდასხმებს ირანის ფართო ქსელს უკავშირებენ. 2021 წლის თებერვლის სარაკეტო თავდასხმის შემდეგ, რომლის შედეგადაც დაშავდნენ ამერიკული ჯარები ერაყის ქურთისტანში, ბაიდენის ადმინისტრაციამ პირველად გამოიყენა სამხედრო ძალა სირიაში იმ მოწყობილობებზე საჰაერო თავდასხმების ბრძანებით, რომლებსაც ირანთან კავშირში მყოფი ერაყელი მილიცია იყენებდა, მათ შორის კატაიბ ჰეზბოლა. ექსპერტების მოსაზრებით, ირანი იმედოვნებს პარტნიორთა მზარდი ქსელის გამოყენებას სამომავლოდაც აღჭურვილობისა და პერსონალის გადასატანად ახლო აღმოსავლეთში, რათა მხარი დაუჭიროს ქვეყნის სწრაფვას რეგიონული ჰეგემონისა და დასავლური ძალების აღმოსაფხვრელად.[84]

მაშინაც კი როდესაც ირანი ეჭვმიტანილი სახელმწიფო იყო მსგავს ჯგუფებთან კავშირში, IRGC-ის ფარული ბუნება საშუალებას აძლევდა რეჟიმს ამ პროცესში მისი როლი ბუნდოვანი გაეხადა, მაგალითად, ყუდსის ძალები თანამშრომლობდნენ კულტურულ და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან, რათა დაეფარათ თავიანთი ჩართულობა და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ე.წ. „მოხალისეების“ გაგზავნა, რომელთაც უნდა ემოქმედათ, როგორც მრჩევლებს და იარაღთან და საბრძოლო მასალებთან მათი კავშირები უნდა წაეშალათ. ფინანსური კონტრიბუციები იმდენად კარგად იყო დამალული, რომ საკმაოდ რთული იყო სიტუაციის შეფასება. ანალიტიკოსების აზრით, ფარული დახმარების პროგრამა მას შემდეგ გაჩნდა, რაც უზენაესი ლიდერი ხამენეი დათანხმდა პოლიტიკას, სადაც ყუდსის ძალები ომის რისკის გარეშე შეძლებდნენ ამერიკელებისათვის დაბრკოლებების შექმნას, რათა თავიდან აეცილებინათ ერაყის ირანის წინააღმდეგ დასაყრდენ წერტილად გახდომის შემთხვევა. ანალიტიკოსები ირანის ამ პროგრამას მის მიერ მარიონეტული ომის გამოყენების ფართო სპექტრს უკავშირებენ და გამოკვეთენ საკმაოდ ფრთხილ მოტივს, რომლის მიხედვითაც ირანი ამას აკეთებს, ნაწილობრივ მაინც იმ მიზეზით, რომ ჰქონდეს რისკების მართვის სადავეები და ესკალაციის ალბათობის შემცირების საშუალება. ამით კი ის ცდილობს მიაღწიოს დასახულ მიზნებს და დაამარცხოს მოწინააღმდეგეები ეტაპობრივი ნაბიჯებითა და მცირე გამარჯვებებით და არა სწრაფი პროგრესითა და გადამწყვეტი გამარჯვებებით. აშშ-ს დაზვერვა ასევე მიიჩნევდა, რომ

[84] Merrow, K. R. (2021, March 01). Iran's Regional Armed Network. Council on Foreign Relations: https://www.cfr.org/article/irans-regional-armed-network Accessed 20 July, 2022

სწორედ ესკალაციის კონტროლი იყო ირანის მთავარი მიზანი.[85]

ირანის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენს ჰეზბოლასა და ჰამასთან კავშირები, რაც ხელს უწყობს მისი გავლენის ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრებისკენ სწრაფვაში. ირანი ლევანტში ასეთი ძლიერი პოზიციით იმედოვნებს, რომ მიეცემა ისრაელსა და დასავლეთზე თავდასხმების საშუალება. ირანელი ლიდერები ჩვეულებრივ სარგებლობენ კონფლიქტით, რომელსაც თავად არ იწყებენ. ჰამასის და პალესტინის ისლამური ჯიჰადის მიერ ისრაელის ქალაქებში გასროლილი რაკეტები და მოკლე დისტანციური რაკეტები დაეხმარა ირანის მფარველობის ქვეშ მყოფ მოძრაობებს, რათა გამხდარიყვნენ პალესტინის ეროვნული მოძრაობის მთავარი ძალები და დაეჩრდილათ დასავლეთ სანაპიროზე დაფუძნებული პალესტინელი ლიდერები.[86]

ჰამასთან ურთიერთობის პროცესში ირანი გულდასმით ცდილობდა თავისი ძალის დაბალანსებას ასევე სხვა ჯგუფებისათვის ფინანსური დახმარების გაწევით, რომელთა გამოყენება შეეძლო ჰამასის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი კითხვის ქვეშ დააყენებდა ირანის სტრატეგიას. გარდა ამისა, ჰამასის ნდობა ირანის მხარდაჭერაზე ირანს უმნიშვნელოვანეს მფარველად აქცევს იქამდე მაინც, სანამ ჰამასი საკუთარი ოპერაციების განხორციელებას განაგრძობს.[87] მიუხედავად საერთო ისტორიისა, ჰამასის ჰეზბოლასთან და ირანთან კავშირი ნაკლებად იყო იდეოლოგიური ურთიერთობა. ჰამასი იღებდა მხარდაჭერას ისეთი სუნიტური ქვეყნებიდან, როგორიცაა ყატარი, საუდის არაბეთი, თურქეთი, სუდანი და იორდანია. არაბული გაზაფხულის დროსაც, ჰამასი ამ მასობრივ მოძრაობებს შეუერთდა.[88]

ჰამასი და PIJ ორგანიზაციების გაერთიანების შესაძლებლობასაც განიხილავდნენ, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია მათი ძალადობრივი ჯიჰადიზმისა და ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმების გამო. ბუნებრივია, ირანისგან მხარდაჭერის სანაცვლოდ, ისინი აუცილებლად განახორციელებენ ოპერაციებს მის მხარდასაჭერად. PIJ-ს დაფინანსებით ირანს შეუძლია არატრადიციულ ომში ჩაებას

[85] Carson, A. (2018). Secret Wars: Covert Conflict in International Politics. Princeton University Press. https://doi.org/10.2307/j.ctv346p45

[86] Why Tehran Won't Abandon Assad(ism). Mohsen Milani. Pages 79-93 | Published online: 12 Dec 2013. Pages 79-93 https://doi.org/10.1080/0163660X.2013.861715

[87] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 34-45.

[88] Rafael D. Frankel (2012): Keeping Hamas and Hezbollah Out of a War with Iran, The Washington Quarterly, 35:4, 53-65 : http://dx.doi.org/10.1080/0163660X.2012.725018

ისრაელის წინააღმდეგ და ამავდროულად თეირანის გავლენა კიდევ უფრო გააფართოვოს.[89]

ირანის ლიდერის, ალი ხამენეის მიდგომისა და პოლიტიკის ანალიზისათვის სირიის კრიზისის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი პუნქტების გათვალისწინება. ირანისთვის უფრო ღირებულ პრიზს წარმოადგენდა ჰეზბოლა და არა სირია, რომელსაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა ჰეზბოლას გაძლიერებაში. უფრო მეტიც, ხამენეი ყველაზე დიდი პოპულარულობით სწორედ ლიბანში სარგებლობდა. სწორედ ამიტომ, ირანი მზად იყო გაეღო საკუთარი რესურსები ჰეზბოლასათვის და შემდეგ უკვე სირიის დასაცავად. მეორეც, ხამენეი მდგრადი იყო წნეხის ქვეშ სტრატეგიების შეცვლისადმი და აღნიშნავდა, რომ „ირანმა უნდა უპასუხოს უცხო ძალასა და საფრთხეებს საკუთარი ძალებითა და საფრთხეებით“. სწორედ ამიტომ მოუწოდებდა თავდაპირველად ასადს, რომ კაპიტულაციაზე არ წასულიყო. როგორც ჩანს, მას სჯეროდა, რომ ასადის რეჟიმის დამხობა აშშ-ს უბიძგებდა რეჟიმის შეცვლისაკენ თეირანში და თუკი სირია-ირანი-ჰეზბოლას ალიანსის რომელიმე ნაწილი დასუსტდებოდა ან განადგურდებოდა, ეს დანარჩენ ორ ნაწილზეც შეუქცევადად აისახებოდა.[90]

ირანის ოპერაციები სირიაში სექტარიანიზმის ყველაზე ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. ირანმა ხელი შეუწყო ათასობით არასირიელი, შიიტი მებრძოლის ჩართვას ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ ირანის ლიდერები ხაზს უსვამენ სირიაში ინტერვენციის ლეგიტიმურობას და უარყოფენ ნებისმიერი სექტანტური დღის წესრიგის არსებობას, ირანის სამხედრო და მასთან დაკავშირებული წრეები განსაზღვრავენ მათ როლს ამ ომში წმინდა რელიგიური თვალსაზრისით.[91]

ირანის პოლიტიკამ სირიის მიმართ გამოიწვია მისი შემდგომი იზოლაცია და გაუცხოება, რადგან მისმა პრო-ასადურმა პოლიტიკამ გაამძაფრა ირანთან მანამდე არსებული დაძაბულობა სპარსეთის ყურის ქვეყნებისა და შეერთებული შტატების მხრიდან და გამოიწვია განხეთქილება ირანულ ელიტურ წრეებშიც. მათ ეჭქვეშ დააყენეს ასადის რეჟიმის მხარდაჭერის ღირებულება დასავლეთთან ბირთვული მოლაპარაკებების დროს სიტუაციის შემსუბუქების ხარჯზე, რომელსაც შეეძლო ირანის ეკონომიკისათვის

[89] Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 1-12

[90] Why Tehran Won't Abandon Assad(ism). Mohsen Milani. Pages 79-93 | Published online: 12 Dec 2013. Pages 79-93 https://doi.org/10.1080/0163660X.2013.861715

[91] Ostovar, A. (2016). SECTARIAN DILEMMAS IN IRANIAN FOREIGN POLICY: WHEN STRATEGY AND IDENTITY POLITICS COLLIDE. CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE, 1-40.

დაწესებული მკაცრი სანქციების შემსუბუქება, თუმცა სირიის კრიზისმა აჩვენა „გაბატონებული ძალის უკომპრომისო ელემენტები ქვეყნის შიგნით“.[92] მათი პრიორიტეტი იყო ნებისმიერ ფასად ასადის რეჟიმის დაცემის თავიდან აცილება, მაშინ როცა მთავარი პასუხისმგებლობა სისხლისღვრაზე სირიაში ასადსა და მის რეჟიმს დაეკისრებოდა.

ირანის მიერ VNSA-ს გამოყენების პრაქტიკის შეფასება

ირანი VNSA-ს განიხილავდა, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების ნაწილს. ირანმა ღია აგრესიის გამოყენების ნაცვლად მომგებიანად მიიჩნია მხარდაჭერა ამ ჯგუფებისადმი, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მასთან ვალში დარჩებოდნენ. 1982 წელს, ლიბანში ისრაელის შეჭრის შემდეგ ხომეინს არ გაუგზავნია დიდი ძალები სირიასა და ლიბანში, თუმცა, სამაგიეროდ ლოგისტიკურ დახმარებას უწევდა და წვრთნიდა იქ მყოფ შიიტებს, რამაც საბოლოოდ ჰეზბოლას შექმნა განაპირობა.[93]

მიუხედავად იმისა, რომ ჰეზბოლა თითქმის ორმოცი წლის წინ დაარსდა, დღესაც კი, როდესაც იგი წარმოადგენს პოლიტიკურ სუბიექტსა და სამხედრო ორგანიზაციას უზარმაზარი შიდა და რეგიონული გავლენით, დიდწილად მაინც რჩება ირანზე დამოკიდებული. ჰეზბოლას ბიუჯეტი თითქმის მთლიანად ირანიდან მოდის და იარაღის მიწოდების გარდა, რევოლუციური არმია და ყუდსის ძალები ზედამხედველობენ ჰეზბოლას ძალების შეკრებას, მათი მებრძოლების წვრთნასა და განათლებას. ჰეზბოლას მასიური ჩარევა სირიის ომში აშკარა დემონსტრირებაა იმისა, თუ როგორ იყენებს ირანი თავის მარიონეტებს რეგიონული სტატუსის გასაძლიერებლად.

ირანისა და ჰეზბოლას სტრატეგიული ალიანსი, განსხვავებით მოკლევადიან ინტერესებზე დაფუძნებული ტაქტიკური თანამშრომლობისა, ხასიათდება თანამშრომლობის მაღალი დონით და, როგორც წესი, ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და იდეოლოგიებს. სწორედ ამიტომ, ასეთი გაერთიანებები უფრო სტაბილური და გამძლეა. ზოგიერთ შემთხვევაში, თანამშრომლობის სურვილზე დაფუძნებული ალიანსიც შესაძლოა გახდეს კონკურენციისა

[92] Geraint Alun Hughes (2014) Syria and the perils of proxy warfare, Small Wars & Insurgencies, 25:3, 522-538, DOI: 10.1080/09592318.2014.913542
[93] Tabarani, G. (2008). How Iran plans to fight America and dominate the Middle East. Indiana: Author House

და დაძაბულობის წყარო, რადგან VNSA იწყებს სახელმწიფოს სუვერენიტეტის გამოწვევას. სირიის რეჟიმსა და ჰეზბოლას შორის ალიანსის შემთხვევა (ირანის მიერ დაფინანსებულ სხვა შიიტურ მილიციებთან ერთად), რომელიც სირიაში 2012 წლის ბოლოდან აქტიურობდა, ასახავს ამ დაძაბულობას. მიუხედავად იმისა, რომ მათ თავდაპირველ მიზანს, ბაშარ ალ-ასადის მმართველობის შენარჩუნებას მიაღწიეს, დროთა განმავლობაში ამ აქტორებმა სრული კონტროლის მიღწევა მოინდომეს. [94] ირანისა და კატაიბ ჰეზბოლას ერაყში კავშირი ხაზს უსვამს მთავარ ძალასა და მარიონეტს შორის კულტურული კავშირების მნიშვნელობას, რაც ამ უკანასკნელს უბიძგებს მთავარ ძალასთან ურთიერთობის გამო უმაღლესი ხარისხის რისკებზეც წავიდეს. 2003 წლის აშშ-ს ერაყში ინტერვენციის შემდეგ კატაიბ ჰეზბოლას დაარსების დროიდან, ეს ძალა არაერთხელ, პირდაპირ თუ ირიბად დაუპირისპირდა შტატებს ირანის სახელით.[95] გარდა ამისა, ჯგუფმა გააგრძელა წინააღმდეგობა ერაყში აშშ-ს ინტერესების მიმართ მისი ლიდერის აბუ მაჰდი ალ-მუჰანდისის მკვლელობის შემდეგ (2020 წლის იანვარი), რაც ცხადყოფს, რომ კულტურული მარიონეტები მიდრეკილნი არიან მთავარი ძალის ერთგულებისაკენ რისკების მიუხედავად.[96]

მიუხედავად ირანის რამდენიმე ოფიციალური პირის მიერ ასადის მოუქნელობის შესახებ გამოხატული კრიტიკისა, მათ შორის ლოიალურ ოპოზიციურ ჯგუფებთან დათმობაზე უარის თქმისა, თეირანს არ შეუწყვეტია ასადის რეჟიმის სასარგებლოდ ინვესტიციების ჩადება და შედეგად მოახერხა მისი გადარჩენის უზრუნველყოფა. ამან გააძლიერა სუნიტური არაბული მმართველი ელიტის მიერ ირანისგან მომდინარე საფრთხის რეალურობის აღქმა შიდა პოლიტიკის დესტაბილიზაციის საქმეში და დაამტკიცა ირანის ცენტრალური როლი სირიის კრიზისიდან გამოსავლის ძიებაში.[97] სირიის კონფლიქტში ირანმა და ჰეზბოლამ

[94] Valensi, C. (2021). Alliances with Violent Non-State Actors in Middle East Conflicts: Between Theory and Practice. Strategic Sectors | Security & Politics, 239-242.
[95] Calvin Pugh, Brian Carter, and Katherine Lawlor, "Iraq Situation Report: August 19-25, 2020," Institute for the Study of War, August 28, 2020, http://www.understandingwar.org/backgrounder/iraq-situation-report-august-19-25-2020.
[96] KARAM, Q. A.-Z. (2020, January 3). US kills Iran's most powerful general in Baghdad airstrike. Retrieved from The Associated Press: https://apnews.com/article/ap-top-news-tehran-international-news-iraq-ali-khamenei-5597ff0f046a67805cc233d5933a53ed Accessed 22 July, 2022
[97] Oktav, Ö. Z. (2017). Understanding Iran's Approach to Violent Non-state Actors: The ISIS and YPG Cases. Violent Non-State Actors and the Syrian Civil War, 193–210. doi:10.1007/978-3-319-67528-2_10

ინტერესების თანხვედრის ეგიდით დიდწილად გააერთიანეს თავიანთი რესურსები, ცოცხალი ძალა და შეიარაღება, რამაც ხელი შეუწყო მათ ორმხრივ უსაფრთხოებას.[98]

უნდა აღინიშნოს, რომ ირანმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ასადის რეჟიმისადმი მხარდაჭერით. ირანის მიერ მხარდაჭერილი ძალები თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს რეჟიმის წარმატებით შენარჩუნების ძალისხმევასა და ოპოზიციური ძალების განდევნაში. ირანის მიერ სირიის სამხედრო ეკონომიკაზე გავლენა გამიზნული იყო იმ მზარდი დამოკიდებულების შესაქმნელად, რომლითაც სარგებლობა ომის შემდეგაც შეეძლო. გავრცელებული ინფორმაციით, ირანულმა ორგანიზაციებმა, რომელთაგან ბევრი დაკავშირებულია IRGC-სთან, განახორციელეს ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, ენერგო და ბუნებრივ რესურსებში. ირანმა ასევე გამოიყენა ეს შესაძლებლობა საკუთარი სამხედრო ძალების გასაუმჯობესებლად და აჩვენა, რომ მას დიდი ხნით შეუძლია ათასობით სამხედრო მოსამსახურის გაგზავნა და უზრუნველყოფა აქტიურ საომარ სამოქმედო ზონაში. ასევე დაიხვეწა საზღვარგარეთ ძალების განლაგების პოლიტიკასთან, ეკონომიკასა და ლოგისტიკასთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხები, რაც აძლევდა საექსპედიციო ძალაუფლების პროექტირებაში უნარების გაძლიერების საშუალებას სამომავლოდ რეგიონულ დონეზე. NDF - ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული განვითარების ფონდი და ირანის მიერ მხარდაჭერილი სხვა ძალები ომის დასრულების შემდეგ სირიის ზოგიერთ რაიონში ყოფნის შენარჩუნებით ირანს საკუთარი ინტერესების გატარების შესაძლებლობას აძლევენ. გასაკვირი არ არის, რომ ჰეზბოლა, NDF და უცხოური შიიტური მილიციები ძირითადად აქტიურობენ ლიბანის საზღვართან, ცენტრალური სირიის (ალეპო-დამასკის ღერძზე)ირგვლივ, რაც ირანისთვის სტრატეგიულ ზონას წარმოადგენს. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ირანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უწყვეტი სახმელეთო ხიდის შექმნაა, რომელიც აკავშირებს ირანს, ერაყს, სირიის სანაპიროსა და ლიბანს. ეს, სავარაუდოდ, საშუალებას მისცემს თეირანს გააძლიეროს თავისი ყოფნა მთელ ტერიტორიაზე.[99]

ბოსნიაში მიმდინარე ომის დროს ირანის რეჟიმმა ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნა ბოსნია-ჰერცეგოვინას და მიაწოდა ბოსნიის არმიას საჭირო იარაღი და საბრძოლო მასალა.

---

[98] Khan, A., & Zhaoying, H. (2020). Iran-Hezbollah Alliance Reconsidered: What Contributes to the Survival of State-Proxy Alliance? Journal of Asian Security and International Affairs, 7(1), 101–123. https://doi.org/10.1177/2347797020906654

[99] Thomas Juneau (2018): Iran's costly intervention in Syria: A pyrrhic victory, Mediterranean Politics, DOI: 10.1080/13629395.2018.1479362

ამგვარმა ჟესტმა, იმ დროს, როდესაც არცერთ დასავლურ ქვეყანას არ სურდა დახმარებოდა გაჭირვებულ ბოსნიელ მუსლიმებს, ირანელებს საშუალება მისცა მოეპოვებინა რიგითი ბოსნიელი მუსლიმების მხარდაჭერა. ეს ომი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ომის „სიმეტრიული არატრადიციული“ ტიპი, რადგან მას ახასიათებს რეგულარული (ჩვეულებრივი) და არარეგულარული ძალების ნაზავი, რომლებიც იბრძვიან ტერიტორიებზე, რომლებიც აღინიშნება მკაფიო ბრძოლის ველზე და ასევე პოლიტიკური კონტექსტი, რომელიც ყალიბდება სახელმწიფოს დაშლის შედეგად.“ [100]ასეთი ომები, როგორც წესი, იწვევს ძალადობის მაღალ დონეს, როგორიც იყო ომი ბოსნია და ჰერცეგოვინაში. თუმცა, კონფლიქტის ხასიათისა და მონაწილე აქტორების მნიშვნელოვანი ცვლილების გამო, ბოსნია და ჰერცეგოვინას ომი არ შეიძლება კლასიფიცირდეს მხოლოდ სიმეტრიულ არატრადიციულ კონფლიქტად. ომების ჩვეულებრივი ან არარეგულარული კლასიფიკაციის თანდაყოლილმა პრობლემამ განაპირობა ახალი კონცეფციის - „ჰიბრიდული ომის“ გაჩენა. ეს განმარტება კი საუკეთესოდ ასახავს ბოსნია და ჰერცეგოვინის ომის (1992-1995) ბუნებას და ირანის მიერ ამ ომში თავისი მარიონეტების გამოყენებას , როგორც საგარეო პოლიტიკის ჰიბრიდულ ელემენტს.[101]

დასკვნა

აშკარაა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის რეგიონალური გავლენა მყარად არის ჩამოყალიბებული და მზარდად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაში. ირანის მიერ რბილი ძალის გამოყენების პრაქტიკები, რომელიც აქტუალური ჯერ კიდევ ისლამურ რევოლუციამდე იყო, დღემდე მისი საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ნაწილია.

ათწლეულების მანძილზე სუნიტური და შიიტური მებრძოლებისგან დაკომპლექტებულ VNSA-თან დამყარებული მჭიდრო ურთიერთობა და მათი საქმიანობის სამხედრო, ეკონომიკური, იდეოლოგიური მხარდაჭერა ირანს აძლევს საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევისა და რეგიონში თავისი გავლენის გაფართოების საშუალებას. ყველა ეს

[100] Kalyvas, Stathis N (2005) Warfare in Civil Wars. In Rethinking the Nature of War. ed. Angstrom, Jan & Abingdon, Isabelle D. Oxon. Frank Cass, 88

[101] Frano Stojic, Zdravko Matic (2016). The War in Bosnia and Herzegovina, 1992-1995: An Assessment of the War's Historical Context and Typology // SMALL WARS JOURNAL, September 2016

არასამთავრობო და ნახევრად სახელმწიფო ფონდები ირანის საგარეო პოლიტიკის რბილი ძალის აგენტებს წარმოადგენენ. მათთან ირანის კავშირები ხშირ შემთხვევაში ირიბია და ოპერატიულების, ფუნდამენტალისტი ლიდერების და მდიდარი არაბი დონორების რთულ, ბუნდოვან ქსელებში იმალება.

ირანის ისლამურ რესპუბლიკას სწორედ მარიონეტული საშუალებების გამოყენებამ მისცა იმის საშუალება, რომ თავიდან აეცილებინა საკუთარი იმიჯის შელახვა. ისრაელი-ლიბანის ომში, ბოსნიის ომსა და ასადის მხარდასაჭერად თავისი მარიონეტების ჩართულობით ირანი ეფექტურად ახერხებდა საკუთარი ინტერესების პოპულარიზაციას და იყენებდა მათ, როგორც საგარეო პოლიტიკის წარმოების ჰიბრიდულ ელემენტებს.

ირანი მასთან აფილირებულ აგრესიულ ძალებთან კავშირებით აგრძელებს რეგიონული ჰეგემონობისაკენ სწრაფვას, რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგება ირანის მოწინააღმდეგეების, განსაკუთრებით ისრაელისა და მისი მოკავშირე აშშ-ს ინტერესებს და რეგიონის მწვავე პოლიტიკურ ფონს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Amer, A. A. (2021, April 09). Report outlines how Iran smuggles arms to Hamas. AL- MONITOR: https://www.al-monitor.com/originals/2021/04/report-outlines-how-iran-smuggles-arms-hamas Accessed 6 August, 2022
- Becker, Jo. "Beirut Bank Seen as a Hub of Hezbollah's Financing." New York Times. December 13, 2011. http://www.nytimes.com/2011/12/14/world/middleeast/beirut-bank-seen-as-ahub-of-hezbollahs-financing.html?_r=1&pagewanted=all
- Berkolli, L. (2021, June 08). Iran's Cultural Presence in Bosnia and Herzegovina. Retrieved from IRAM:https://iramcenter.org/en/irans-cultural-presence-in-bosnia-and-herzegovina/?send_cookie_permissions=OK Accessed 26 July, 2022
- Brennan, J. (2008). The Conundrum of Iran: Strengthening Moderates without Acquiescing to Belligerence. The ANNALS of the American Academy of Political and Social Science, 618(1), 168–179. https://doi.org/10.1177/0002716208316732
- Calvin Pugh, Brian Carter, and Katherine Lawlor, "Iraq Situation Report: August 19-25, 2020," Institute for the Study of War, August 28, 2020, http://www.understandingwar.org/backgrounder/iraq-situation-report-august-19-25- 2020.
- Carson, A. (2018). Secret Wars: Covert Conflict in International Politics. Princeton University Press. https://doi.org/10.2307/j.ctv346p45
- Christian Kaunert, O. W. (2020). The Securitisation of Hybrid Warfare through Practices within the Iran-Israel conflict –Israel's practices for securitising Hezbollah's Proxy War. SECURITY DEFENCE, 100-114.
- Civilians." Human Rights Watch. July 18, 2006.
- Dr. Arlinda Rrustemi, P. R. (n.d.). Geopolitical Influences of External Powers in the Western Balkans. FBIC
- Farquhar, S. C. (2009). A Study of the Second Lebanon War and Operation CAST LEAD. Kansas: Combat Studies Institute Press.
- Frano Stojic, Zdravko Matic (2016). The War in Bosnia and Herzegovina, 1992-1995: An Assessment of the War's Historical Context and Typology // SMALL WARS JOURNAL, September 2016

- Geraint Alun Hughes (2014) Syria and the perils of proxy warfare, Small Wars & Insurgencies, 25:3, 522-538, DOI: 10.1080/09592318.2014.913542
- Haddad, S. (2006). The origins of popular support for Lebanon's Hezbollah. Studies in Conflict & Terrorism, 29(1), 21–34.
- Hokayem, E. (2014). Iran, the Gulf States and the Syrian civil war. Survival: Global Politics and Strategy, 56(6), 59–86.
- Human Rights Watch. "Lebanon: Hezbollah Rocket Attacks on Haifa Designed to Kill
- IntelBrief: Iran's Role in Israel-Gaza Conflict . (2021, May 18). THE SOUFAN CENTER: https://thesoufancenter.org/intelbrief-2021-may-18 Accessed 29 July, 2022
- Iran, Revolution and Proxy Wars. Ofira Seliktar and Farhad Rezaei. Palgrave Macmillan Cham. 2020. https://doi.org/10.1007/978-3-030-29418-2 P. 16
- Iraq Says It Can't Halt Arms to Syria," The New York Times, July 13, 2013, http://www.nytimes.com/2013/07/14/world/middleeast/iraq-says-it-cant-halt-arms-to-syria.html?_r = 0
- James A. Piazza (2018): Transnational Ethnic Diasporas and the Survival of Terrorist Organizations, Security Studies,
- Jonathan V. Marshal, "The Lebanese Connection: Corruption, Civil War, and the International Drug Traffic".International Journal of Middle East Studies, 2014
- JUNEAU, T. (2021, August 03). HOW IRAN HELPED HOUTHIS EXPAND THEIR REACH. WAR ON ROCKS: https://warontherocks.com/2021/08/how-iran-helped-houthis-expand-their-reach/ Accessed 6 August, 2022
- K, H. (2020, November 14). Iran's Overseas Propaganda: A Poor Harvest in Bosnia and Herzegovina. Retrieved from IRANWIRE: https://iranwire.com/en/features/68007 Accessed 26 July, 2022
- Kalyvas, Stathis N (2005) Warfare in Civil Wars. In Rethinking the Nature of War. ed. Angstrom, Jan & Abingdon, Isabelle D. Oxon. Frank Cass, 88
- KARAM, Q. A.-Z. (2020, January 3). US kills Iran's most powerful general in Baghdad airstrike. The Associated Press: https://apnews.com/article/ap-top-news-tehran-international-news-iraq-ali-khamenei-5597ff0f046a67805cc233d5933a53ed Accessed 22 July, 2022
- Keinon, Herb. "'Iran, Hezbollah seeking to harm Israelis globally'." The Jerusalem Post. February 14, 2012. http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=257737

— Khan, A., & Zhaoying, H. (2020). Iran-Hezbollah Alliance Reconsidered: What Contributes to the Survival of State-Proxy Alliance? Journal of Asian Security and International Affairs, 7(1), 101–123. https://doi.org/10.1177/2347797020906654

— Khatab, M. (2019, August 02). Iran's Influence in Bosnia, a Dagger in the Flank of Europe. MENA RESEARCH CENTER: https://mena-studies.org/irans-influence-in-bosnia-a-dagger-in-the-flank-of-europe/ Accessed 28 July, 2022

— Khoury, J. (2015, March 12). Hamas and Tehran boost ties as Meshal meets Iran's Larijani in Doha. Haaretz. https://www.haaretz.com/2015-03-12/ty-article/.premium/hamas-and-iran-boost-ties/0000017f-e998-d639-af7f-e9dfea1b0000

— Lane, A. (2021, May 20). Iran's Islamist Proxies in the Middle East. Wilson Center: https://www.wilsoncenter.org/article/irans-islamist-proxies Accessed 30 July, 2022

— Levy, I. (2021, June 01). How Iran Fuels Hamas Terrorism. THE WASHINGTON INSTITUTE for Near East Policy: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/how-iran-fuels-hamas-terrorism Accessed 28 July, 2022

— Manni, N. F. (2012). Iran's Proxies: State Sponsored Terrorism in the Middle East. Global Security Studies, Summer 2012, Volume 3, Issue 3, 34-45.

— Mansharof, D. Y. (2020). The Relationship Between Iran and Palestinian Islamic Jihad. The Jerusalem Institute for Strategy and Security , 1-19.

— Merrow, K. R. (2021, March 01). Iran's Regional Armed Network. Council on Foreign Relations: https://www.cfr.org/article/irans-regional-armed-network Accessed 20 July, 2022

— Mette Mayli Albæk, P. D. (2020). The Controller: How Basil Hassan Launched Islamic State Terror into the Skies. COMBATING TERRORISM CENTER AT WEST POINT VOLUME 12, ISSUE 5, 1-51.

— Montazeri, Z. G. (2019, June 05). The secret history of the Quds Force of the IRGC in the Bosnian War. BBC NEWS: https://www.bbc.com/persian/iran-features-48511526 Accessed 28 July, 2022

— Oktav, Ö. Z. (2017). Understanding Iran's Approach to Violent Non-state Actors: The ISIS and YPG Cases. Violent Non-State Actors and the Syrian Civil War, 193–210. doi:10.1007/978-3-319-67528-2_10

— Ostovar, A. (2016). SECTARIAN DILEMMAS IN IRANIAN FOREIGN POLICY: WHEN STRATEGY AND IDENTITY POLITICS COLLIDE. CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE, 1-40.

— Peek, A. L. (2021). ON THE EFFECTIVE USE OF PROXY WARFARE. Baltimore, Maryland.
— POMPEO, M. R. (2020). OUTLAW REGIME: A CHRONICLE OF IRAN'S DESTRUCTIVE ACTIVITIES.
— Rafael D. Frankel (2012): Keeping Hamas and Hezbollah Out of a War with Iran, The Washington Quarterly, 35:4, 53-65 : http://dx.doi.org/10.1080/0163660X.2012.725018
— Ranstorp, M., & Xhudo, G. (1994). A threat to Europe? Middle east ties with the Balkans and their impact upon terrorist activity throughout the region. Terrorism and Political Violence, 6(2), 196–223. doi:10.1080/09546559408427254
— Roberts, Mark. "Hezbollah: The Global Footprint of Lebanon's Party of God. By Matthew Levitt, Ph.D. Washington, D.C.: Georgetown University Press, 2013. ISBN 978-1-62616-013-2. Bibliography. Sources cited. Index. Pp. xv, 407. $32.95.." Journal of Strategic Security 6, no. 4 (2013) : 109-111.
— Serhal, G. B. (2022, March 10). Iran's Proxy Network in Yemen: How the Houthis Capitalize on Hezbollah's Military & Operational Expertise. Research Programs | International Security and Terrorism | Middle East Security: https://trendsresearch.org/insight/irans-proxy-network-in-yemen-how-the-houthis-capitalize-on-hezbollahs-military-operational-expertise/ Accessed 5 August, 2022
— Smyth, P. (2014, September 18). All the Ayatollah's men, foreign policy. Foreign Policy.
— Tabarani, G. (2008). How Iran plans to fight America and dominate the Middle East. Indiana: Author House
— The Economist. (2015, January 3). Death of a general. https://www.economist.com/middle-east-and-africa/2014/12/30/death-of-a-general
— The Guardian. (2014, January 9). Hamas and Iran rebuild ties three years after falling out over Syria. https://www.theguardian.com/world/2014/jan/09/hamas-iran-rebuild-ties-falling-out-syria
— Thomas Juneau (2018): Iran's costly intervention in Syria: A pyrrhic victory, Mediterranean Politics, DOI: 10.1080/13629395.2018.1479362
— Tom Najem, Lebanon: The Politics of a Penetrated Society, (Abingdon, Oxon: Routledge, 2012), 109, 14; Maloney, "Agents or Obstacles?," 159; Amal Saad-Ghorayeb, "Hezbollah's Iran Money Trail: It's Complicated," http:// english.al-akhbar.com/node/10553

— Tribune, January 9, 2013, http://articles.chicagotribune.com/2013-01-09/news/sns-rtsyria-crisisprisoners-update-3l5e9c964r-20130109_1_syrian-insurgents-al-baraa-brigadesyrian-government.

— Valensi, C. (2021). Alliances with Violent Non-State Actors in Middle East Conflicts: Between Theory and Practice. Strategic Sectors | Security & Politics, 239-242.

— Voice of America. "US Military Commander Warns of Iran-Hezbollah Influence in Latin America." Voice of America. March 17, 2009. https://www.voanews.com/a/a-13-2009-03-17-voa44-68678507/408729.html

— Why Tehran Won't Abandon Assad(ism). Mohsen Milani. Pages 79-93 | Published online: 12 Dec 2013. Pages 79-93 https://doi.org/10.1080/0163660X.2013.861715

— Zahid, F. (2016). The Zainabiyoun Brigade: A Pakistani Shiite Militia Amid the Syrian Conflict. Terrorism Monitor Volume: 14 Issue: 11.